შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (10.065)

25—31 მარტი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა

თელავის ტექნოპარკში, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ კახეთის რეგიონში მოქმედი მედიასაშუალებების წარმომადგენლები. მოწვეულ აუდიტორიას კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

გიორგი ალადაშვილი, კახეთის გუბერნატორი: „გილოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს და ვისურვებდი, რომ ყოველთვის გაგეშუქებინოთ კარგი და საინტერესო ინფორმაცია. ჟურნალისტიკა ერთ-ერთი სარისკო, მაგრამ ძალიან საინტერესო და საჭირო პროფესიაა. გისურვებთ პროფესიულ წინსვლას და ინფორმაციების ობიექტურად გაშუქებას“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „მე ვარ ბედნიერი, დღეს ამდენ ნაცნობ სახეს რომ ვხედავ და მაქვს პატივი, კახეთის რეგიონში მოღვაწე ჟურნალისტებს ერთად მოგილოცოთ პროფესიული დღე. დღეს დილით ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში ვიყავი და გაზეთის თანამშრომლებს მივულოცე ეს დღე. იქ გვქონდა საუბარი ე. წ. ვოტჩ დოგის (მოდარაჯე ძაღლი) შესახებ და აქაც ვიტყვი, რომ მეთვალყურე ზოგჯერ საჭიროა, ცოტა ფხიზლად რომ ვიყოთ და გვქონდეს იმისი განცდა, რაღაცას თუ ისე არ გავაკეთებთ, როგორც საჭიროა, არიან ადამიანები, რომლებიც ამას აუცილებლად დაინახავენ. ეს კი მოდუნების საშუალებას არასდროს გვაძლევს“.

ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში კახეთის რეგიონის თვითმმართველობების ხელმძღვანელმა პირებმა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესიული კოლეჯის დირექტორმა, დაავადებათა კონტროლის კახეთის რეგიონული სამსახურისა და რეფერალური საავადმყოფოს ხელმძღვანელებმა მიიღეს მონაწილეობა.

„სამართლიანები იყავით, გაბედულები იყავით. ჩვენ ერთად ვიბრძვით და ჩვენთვის არ არსებობს არც დღე და არც ღამე.მინდა, რომ არასოდეს დაკარგოთ ის გაბედულება, რაც თითოეულ თქვენგანს გააჩნია“-აღნიშნა დაავადებათა კონტროლის კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსმა ნელი ხიზანიშვილმა.

შალვა ჭკადუა, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი-„ყველამ ვიცით, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტურად გაშუქებულ ინფორმაციას. არა მარტო მიმდინარე პროცესებისთვის, არამედ მომავალი

თაობისთვისაც“.

უნივერსიტეტის პროფესორმა, თენგიზ სიმაშვილმა ქართული ჟურნალისტიკის შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინა აუდიტორიას.

თენგიზ სიმაშვილი: „ჟურნალისტები დგანან საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გვერდით, რადგან მათ საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. ჩემთვის უცხო არ არის თქვენი სფერო, მე წლების განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩაბმული ჟურნალისტიკაში და გადაცემებიც მიმყავდა. ეს კვლევა, რომელსაც დღეს წარმოგიდგენთ, არ მომიმზადებია დღევანდელი დღისათვის. ამ მასალების მოძიებაზე წლების განმავლობაში ვმუშაობდი და ვიკვლევდი კახეთის რეგიონში მოღვაწე ჟურნალისტებს, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ჟურნალისტიკას და კახეთის ამბებს აშუქებდნენ მაშინდელ რესპუბლიკურ პრესაში-ივერიაში, დროებასა თუ სხვა გაზეთებში“.

ღონისძიების დასასრულს მედიის წარმომადგენლებს კახეთის გუბერნატორმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

მედიას მეოთხე ხელისუფლებასაც კი უწოდებენ, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ხელისუფლების სამი შტოს - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო - საქმიანობის მეთვალყურეობა და კონტროლია. ეს ფუნქცია ინგლისური სიტყვა Watchdog-იდან მომდინარეობს, რაც „მოდარაჯე ძაღლს“ ნიშნავს. მედია ხელისუფლების საქმიანობას და გზავნილებს სკეპტიკური პოზიციიდან აფასებს და მის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

* * *

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლებს ქართული ჟურნალისტიკის დღე მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ქართული ჟურნალისტიკის დღე 1993 წლიდან აღინიშნება და პირველი ქართული გაზეთის გამოცემას უკავშირდება. „საქართველოს გაზეთი“ 1819 წლის 21 მარტს გამოიცა და 1821 წლის ბოლომდე იარსება.

ინგა შიოლაშვილი

ჟურნალისტიკის დღე და გაზეთის 200 წლიანი ისტორია

ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ასევე სოფლების ზემო მაჩხაანის, მირზაანის, ზემო ქედისა და ოზაანის სასოფლო ბიბლიოთეკებში. ქალაქ დედოფლისწყაროს საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები გაზეთ „შირაქის“ ძველ და ახალ ნომრებს გაეცნენ და მათთვის საინტერესო სტატიები ამოიკითხეს.

ბიბლიოთეკებში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ დედოფლისწყარო იმ გამონაკლის მუნიციპალიტეტებს შორისაა, სადაც ადგილობრივი გაზეთი უწყვეტად გამოიცემა და დღემდე მოქმედებს. საბჭოთა წლებში რაიონული გაზეთი ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდა, თუმცა სტამბების გაუქმების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე შემორჩა, რომელიც ისევ მოქმედებს. როგორც ბავშვებმა აღნიშნეს, „შირაქი“ იმითაც გამოირჩევა, რომ 86-ე წელია რაიონის ისტორიას ინახავს.

როგორც ზემო მაჩხაანის ბიბლიოთეკარმა **ეთერ ტოკლიკიშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დაბალი კლასის მოსწავლეები, რომელთათვისაც უცხოა გაზეთი, ბეჭდური მედიის როლს და დედოფლისწყაროში მოქმედი გაზეთის ისტორიას გაეცნენ.

„ჟურნალისტიკის როლზე ვისაუბრეთ, ასევე თუ სამომავლოდ ჟურნალისტის პროფესიას აირჩევენ, პროფესიის თავისებურებები გავაცანით. ავუხსენით, რომ გაზეთ „შირაქის“ ახალი ნომრები ყოველკვირეულად შემოდის ბიბლიოთეკაში და სურვილის შემთხვევაში საშუალება აქვთ გაეცნონ დედოფლისწყაროს სიახლეებს. ეს ის თაობაა

ილია მარტყოფლიშვილი

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი – დიახ, სააკაშვილის ჩამოსვლის მიზანი იყო ნიადაგის მომზადება საქართველოში ომის დასაწყებად

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების მიზანი რევოლუციის მოწყობა, სისხლისღვრა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა იყო. როგორც მან პარლამენტში, ე.წ. ინტერპელაციის წესით მოსმენისას აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს ეს გეგმა ჩაუვარდა და შიდა დაგარე მტრებმა წააგეს.

„უკანონოდ შემოსული და შემოპარული ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ერთადერთი მიზანი იყო საქართველოში ე.წ. მეორე რევოლუციის მოხდენა, მისი მიამიტური გათვლებით. აქ უნდა მომხდარიყო რევოლუცია, სისხლისღვრა, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, არჩევნების ჩაშლა. ეს პერიოდი ემთხვევა ზუსტად იმ პერიოდს, როცა ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, საუბრები უკვე დაწყებული იყო და ჩვენ სხვა ინფორმაციებიც გაგვაჩნდა ჩვენი პარტნიორებისგანაც, რომ მოსალოდნელი უყო უკრაინაში ომის დაწყება ნოემბერში, ან დეკემბერში, რომელმაც რამდენიმე თვით გადაიწია რუსეთ-დასავლეთს შორის მიმდინარე კომუნიკაციის გამო. ეს პერიოდი პირდაპირ ემთხვევა სააკაშვილის შემოსვლას და მის განზრახვას, რომ მოეხდინა ხელისუფლების დამხობა, გადატრიალება და რევოლუცია. ამას თუ დავუკავშირებთ რამდენიმე თვის შემდეგ უკრაინის ხელისუფლების გაცხადებულ მიზანს, მათ ქმედებებს, რომ მათი ამოცანა იყო სწორედ საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნა, ვფიქრობ, არცერთ გონიერ ადამიანს კითხვა აღარ დარჩება, რომ დიახ, სააკაშვილის ჩამოსვლის მიზანი იყო ნიადაგის მომზადება იმისთვის, რომ საქართველოში ომი დაწყებულიყო. რა თქმა უნდა, ეს გეგმა ჩაუვარდა, ჩვენმა შიდა და გარე მტრებმა წააგეს“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცეს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს სამმართველოს მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცეს, ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის დასაცავად გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და პროფესიული წარმატებები უსურვეს. 21 მარტს მესაზღვრის დღე საქართველოში 1999 წლიდან აღინიშნება, რომელიც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ დაარსდა.

დოჰაში ქართული პროდუქცია გამოიფინა, მათ შორის დედოფლისწყაროდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, კატარის დედაქალაქ დოჰაში, საერთაშორისო აგროგამოფენის „**Agriteq 2023**“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო. საქართველოს სტენდი კატარის ტრანსპორტის მინისტრმა, კომერციისა და ინდუსტრიის მინისტრმა, მუნიციპალიტეტების მინისტრმა, გარემოსა და კლიმატის ცვლილების მინისტრმა, კატარის ტურიზმის საბჭოსა და ავიახაზების პრეზიდენტმა და სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა დაათვალიერეს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საერთაშორისო გამოფენაზე „**Agriteq** 2023“ საქართველოს სტენდზე 14 ქართული კომპანიაა წარმოდგენილი, რომლებმაც დამთვალიერებელს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნეს. მათ შორის გამოიფინა დედოფლისწყაროში მოქმედი „აგროქიზიყის“ საწარმოს პროდუქცია.

„გამოფენაზე ქართული ხორცი მხოლოდ ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი, რამდენიმე წელია ყატარში ცოცხალი ცხვრის შეყვანასაც ვახდენთ,“ – უთხრა „შირაქს“ **ბექა გონაშვილმა**.

სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული კაკალი, მოცვი, წყალი, მშრალი და სუბლიმირებული ხილი, შეციებული ცხვრის ხორცი, თაფლი, ორგანული წვენები. პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. გამოფენის მონაწილე ქართული კომპანიების უმეტესობა სოფლის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარია.

„საქართველოსა და გალფის ქვეყნებს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, რაც აუცილებლად უნდა განვითარდეს და, შესაბამისად, გაიზარდოს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა. ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრება ჩვენი პოლიტიკის პრიორიტეტია. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად გავზარდოთ ქართული აგრარული პროდუქციის ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე, გავხადოთ ის მოთხოვნადი, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის, სტაბილურად მზარდი იყოს ექსპორტის მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ, ბოლო წლების განმავლობაში, გალფის ქვეყნებში ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ინტერესი მზარდია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ, ჩვენი ფერმერების მხარდასაჭერად, მსგავსი ღონისძიებები აქტიურად გაგრძელდეს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

„**Agriteq**“ ყურის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა, რომელსაც მრავალი ათასი ვიზიტორი ჰყავს. წელს გამოფენაში მონაწილეობას 52 ქვეყანა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 650-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იღებს. გამოფენაში, რომელსაც 20 ათასამდე დამთვალიერებელი ჰყავს, მონაწილეობა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა კატარსა და, ზოგადად, ყურის რეგიონში ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისთვის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის კატარის სახელმწიფოს სტენდები დაათვალიერა და ოფიციალურ პირებს შეხვდა.

გამოფენის გახსნის ღონისძიებას, მინისტრ ოთარ შამუგიასთან ერთად, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კატარის სახელმწიფოში ნიკოლოზ რევაზიშვილი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე ესწრებოდნენ.

საქართველოს განათლების სფეროს ახალი მინისტრი ჰყავს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრად გიორგი ამილახვარი თავად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა.

„ბატონი გიორგი ამილახვარი არის ძალიან წარმატებული ადამიანი. მე მინდა გითხრათ, რომ მას აქვს ძალიან კარგი, ღირსეული განათლება მიღებული. იგი სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ გერმანიაში. მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი. არის ასოცირებული პროცესორი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ გიორგის აქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება, იგი გახლავთ ერთ-ერთი ძალიან წარმატებული უნივერსიტეტის დამფუძნებელი. მისი რექტორობის პერიოდში ამ უნივერსიტეტმა ძალიან ბევრ წარმატებას მიაღწია. ეს არის ერთ-ერთი მართლა ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შექმნას ახალგაზრდა მოტივირებულმა ადამიანმა თანამედროვე, ევროპული, დასავლური ხარისხის უნივერსიტეტი. სწორედ ასეთი უნივერსიტეტის შემქმნელი გახლავთ ბატონი გიორგი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დღემდე ბატონი გიორგი წარმატებით ხელმძღვანელობდა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს. მას უკავშირდება არა ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა. ბატონი გიორგი წლებია უკვე ჩართულია განათლების სფეროში. იგი ძალიან კარგად იცნობს ზოგადად განათლების ყველა საფეხურზე არსებულ ვითარებას, გამოწვევებს, რომელიც ჯერ კიდევ რჩება განათლების სისტემაში და მე მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი გიორგი იქნება განათლებისა და მეცნიერების წარმატებული მინისტრი. ჩვენ ბევრი გვისაუბრია ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების საკითხებზე. მან ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მოგვარდეს ჯერ კიდევ არსებული პრობლემები და ვფიქრობ, რომ ბატონი გიორგი წარმატებული მინისტრი იქნება. ამავდროულად, მინდა ვთქვა, რომ გიორგი ამილახვარს აქვს ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული. მონოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენებზე. იგი პარალელურად აკადემიურ საქმიანობას ეწეოდა. ჩვენ გვჭირდება კარგი მენეჯერები, დარგის მენეჯერები. მინდა კიდევ ერთხელ წარმატება ვუსურვო გიორგი ამილახვარს და მადლობა ვუთხრა ჩვენს ყოფილ მინისტრს, მიხეილ ჩხენკელს,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის, გიორგი ამილახვარი ამ დრომდე პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა, მიხეილ ჩხენკელი კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრად 2019 წლის ნოემბერში დაინიშნა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ ჩხენკელს განათლების მინისტრის პოსტი მანამდეც, 2017 წელსაც ეკავა, თუმცა მხოლოდ 8 თვის განმავლობაში.

გიორგი ამილახვრის განცხადებით, მუშაობის საკუთარ ხედვას პრემიერ-ministrს უახლოეს პერიოდში წარუდგენს. ამის შესახებ მან მინისტრად წარდგენის შემდეგ აღნიშნა. **„სოციალური და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს შევთავაზებთ ყველა იმ მოტივირებულ, წარჩინებულ და წარმატებულ სტუდენტს, ვისაც აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება და ხელს შევუწყობთ განათლების პროცესის კარგად შესრულებისთვის. აუცილებლად აქტიურად მხარს დავუჭერთ უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში ერთობლივი, ორმაგი პროგრამების განხორციელებას და დანერგვას ჩვენს ევროპელ და დასავლელ, უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ დღეს განათლებას არ აქვს საზღვრები. ასევე, მიგვაჩნია, რომ უფრო აქტიურად და ფართოდ უნდა გავაღოთ კარი ევროპული და დასავლური განათლების შემოსაშვებად საქართველოში.**

პროფესიული განათლება, ჩემი მინისტრობის პერიოდში, გამოცხადდება პრიორიტეტულ მიმართულებად და უახლოეს პერიოდში, ჩვენ შემოგთავაზებთ იმ კონკრეტულ ხედვას, თუ როგორ ვაპირებთ ამ დარგის გარდაქმნას და რა კონკრეტულ და იოლი ფორმების მექანიზმებს შევთავაზებთ დამსაქმებლებს პროფესიულ განათლებაში ჩართულობისთვის.

გასული წლების განმავლობაში მიღწეულმა შედეგებმა უკვე მოგვცა შესაძლებლობა, რომ ჩვენ აქტიურად ვიმუშაოთ და საქართველო ჩამოვაყალიბოთ რეგიონში განათლების მიზიდულობის კერად. მოვიზიდოთ მეტი უცხოელი სტუდენტი და პროფესორი საქართველოში, რაც პირდაპირ უდრის ჩვენი განათლების ხარისხის ზრდას და პირდაპირ ინვესტიციას განათლებაში.

და ბოლოს, ამ და ყველა სხვა დანარჩენ საკითხებზე, რომელიც უამრავია, უახლოეს მომავალში, პრემიერ-მინისტრს ჩვენ წარვუდგენთ ჩვენს ხედვასა და გეგმას და საზოგადოებას საჯაროდ გავაცნობთ იმ კონკრეტულ, დროში გაწერილ გეგმას, რომელიც ამ და სხვა საკითხებს შეეხება“, - განაცხადა ამილახვარმა.

„საქართველოს მოსახლეობის ადგილი ევროკავშირშია“

„ჩვენ გვინდა ვნახოთ საქართველო ევროკავშირში, გვინდა ქართველებმა გაამდიდრონ ევროკავშირი“, - ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანალენა ბერბოკმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს ჰყავს მეგობრები ბრიუსელსა და ბერლინში, ვისი იმედიც შეიძლება გვქონდეს.

„დიდი მადლობა ამ მეგობრული მიღებისთვის თბილისში. გერმანიაში უდიდესი ინტერესია საქართველოს, ადამიანების, ისტორიის, საოცარი ბუნების და სამზარეულოს მიმართ. ინტერესი ვლინდება საქართველოში ჩამოსვლის მსურველი გერმანელი ტურისტების რაოდენობის ზრდაში - იმ ადამიანების რაოდენობა იზრდება, ვისაც საქართველოში ტურისტად ჩამოსვლა უნდა. ადამიანებისთვის, ხინკალი და ხაჭაპური აღარ არის უცხო სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოთქმა არ არის მარტივი, მათ შორის, ჩემთვისაც. ეს არის ანეკდოტი გერმანული პრესისთვის.

გუშინ ვნახე არაჩვეულებრივი ქალაქი თბილისი, არაჩვეულებრივი არქიტექტურით, სადაც გერმანული არქიტექტურა შინაურია. ეს უკავშირდება ორმხრივ ურთიერთობას. ინტერესი საქართველოს მიმართ იმგვარად ვლინდება, რომ ჩვენ, გერმანიაში, გასული კვირების განმავლობაში ინტენსიურად ვაკვირდებოდით თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, რაც ხდებოდა „უცხოური აგენტების“ კანონ-პროექტთან დაკავშირებით. ევროპული დროშები ფრიალებდა. დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, რომ თბილისის ქუჩებში გამოდიოდნენ ქალები და მამაკაცები, რომლებიც ევროპულ დროშას აფრიალებდნენ. ეს ყველაფერი ხელს უწყობდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. ჩვენი გამოცდილება ევროპაში არის ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, ეს არის არამხოლოდ შანსი, არამედ ევროპული ღირებულებების რწმენა. ასევე, არის სტიმული. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით შეიძლება იამაყო. **საქართველო არის ევროკავშირი. ამაში დაგვარწმუნა არა გასულმა კვირებმა, არამედ გასულმა წელმა. ადამიანების, საქართველოს მოსახლეობის ადგილი ევროკავშირშია. ამიტომ, საქართველოში ჩამოვედი კონკრეტული გზავნილით. ჩვენ გვინდა ვნახოთ, საქართველო ევროკავშირში, გვინდა ქართველებმა გაამდიდრონ ევროკავშირი. ჩვენ მხარს დაგიჭერთ ამ გზაზე. თქვენ გყავთ მეგობრები ბრიუსელსა და ბერლინში, ვისი იმედიც შეიძლება გქონდეთ. გულწრფელად დაგიჭერენ მხარს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს გზა ერთობლივად, გულწრფელად გავიაროთ**“,- აღნიშნავს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

"ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის"

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში 600-800 ახალშობილიდან, ერთი დაუნის სინდრომით იბადება. ამ სინდრომის მქონე ბავშვი, შესაძლებელია ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდეს. ის არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. სინდრომი გოგონებსა და ბიჭებში, ერთნაირი სიხშირით ვლინდება.

დაუნის სინდრომი ადამიანის გენეტიკური მდგომარეობაა, როდესაც ყველა უჯრედში 46 ქრომოსომის ნაცვლად, 47 ქრომოსომაა. ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, აქედან გამომდინარე, დაუნის სინდრომი დაავადება არ არის. 2006 წლის 21 მარტს, პირველად აღინიშნა დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე. დღე და თვე შემთხვევით არ აურჩევიათ, 21-ე ქრომოსომას აღნიშნავს თარიღი, ხოლო მარტი, როგორც წელიწადის მესამე თვე ტრისომიულ მოვლენას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დღეს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები იმართება, მათ რიცხვშია საქართველოც. ღონისძიების მიზანია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა ღირსების, უფლებების დაცვა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის მიზანია, საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია სინდრომის შესახებ, მოხდეს მათი უფლებების დაცვა და მონაწილეობა აქტიურ ცხოვრებაში.

რატომ ჭრელი წინდა?!

წინდა ქრომოსომას ჰგავს. ჭრელმა წინდებმა მსოფლიოს მასშტაბით არაერთ ადამიანამდე მიიტანა ინფორმაცია დაუნის სინდრომის, 21-ე ქრომოსომული წყვილის ტრისომიის შესახებ. 2013 წელს დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით, „უთვალავი წინდის“ (LOTS OF SOCKS) ტრადიცია დამკვიდრდა. ის მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვას ისახავს მიზნად.

სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გოჩა სამუკაშვილი, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის უფროსი მამუკა ყავრელიშვილი ესწრებოდნენ. კულტურის სახლის ჰოლში, დაუნის სინდრომის მქონე გოგონებს - ლანა თეთრაძესა და ნინი მჭედელიძეს, ულამაზესი ღონისძიებით დახვდნენ ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ცეროდენას“ (ხელმძღვანელები - ნინო ლოლაშვილი, ხათუნა ცისკარაული), თანამედროვე და ევროპული ცეკვების სტუდია „ვარსკვლავების“ (ხელმძღვანელი: ნათია ცინცაძე) და ვოკალური ჯგუფის „ედელვაისის“ (ხელმძღვანელი: ნინო ნიკვაშვილი) პატარა თაობის აღსაზრდელები.

„ლანა და ნინი, ძალიან გვიყვარხართ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ჩვენს სტუდიაში მოსვლა, რეპეტიციებზე დასწრება, ღონისძიებებში მონაწილეობა. ჩვენ ვმეგობრობთ თქვენთან და სწორედ ამიტომ, ამ დღეს გიძღვნით თქვენ“ - აღნიშნა ღონისძიების წამყვანმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრთან არსებული საბავშვო სტუდიის „ცეროდენას“ ხელმძღვანელმა.

„დღეს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ჩვენმა პატარებმა ამ დღეს ლამაზი ღონისძიება მიუძღვნეს. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, რომ გვახოვს ჩვენი პატარა მეგობრები. ასეთი ანგელოზები, ასეთ დღესასწაულს რომ აწყობენ, ეს არის თქვენი, პედაგოგებისა და მშობლების ძალიან დიდი დამსახურება. მიხარია და ამაყი ვარ, რომ ასეთი კარგი დედოფლისწყაროელი ბავშვები გვყავს. კიდევ ერთხელ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ და ვთქვათ, რომ - მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“ - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

წლევანდელი კამპანიის სლოგანია „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“, რომლის ინიციატორი ორგანიზაცია „მზის შვილებია“. მისი მიზანია საზოგადოებაში გაავრცელოს დაუნის სინდრომის მქონე პირების კონკრეტული გზავნილები:

- ჩვენ გვსურს თქვენთან ერთად ცხოვრების გაზიარება;
- ჩვენ ვართ განსაკუთრებული უნარების მქონე პირები და არა შეცოდების ობიექტები;
- ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ სასარგებლო ერთმანეთისთვის!

შეხვედრის დასასრულს მერმა ნინის და ლანას სიმბოლური საჩუქრები გადასცა და ღონისძიების ორგანიზატორებთან, მონაწილეებთან და მშობლებთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო.

მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!

21 მარტს დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის III-ა კლასმა ჩაატარა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები, რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას დაუნის სინდრომთან დაკავშირებით.

დისკუსიის შედეგად მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!“. მათ დაამზადეს პოსტერები და გააკეთეს პრეზენტაცია. ეს ყველაფერი საჭირო და საინტერესო აღმოჩნდა მესამეკლასელებისთვის. მოსწავლეები მოქმედებდნენ დევიზით: „ჩვენთან და

არა ჩვენთვის!“ (დამრიგებელი: ქეთევან დავითაშვილი)

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნას შეუერთდა ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატი. სკოლაში ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა ლოზუნგით „ისინი ჩვენი მეგობრები არიან! მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. მონაწილეობა მიიღეს მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებმა.

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში სპეციალური მასწავლებლის - ირინა ფიროსმანაშვილის ორგანიზებით შედგა შეხვედრა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომელსაც ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი - ლალი იაკობიშვილი/ჩერქეზიშვილი, დირექტორის მოადგილე - ნათია პოპიაშვილი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. მე-8 კლასის მოსწავლეებმა სალომე ჩხაიძემ და ანელი ნარუსლიშვილმა წარმოადგინეს პრეზენტაციები დაუნის სინდრომის შესახებ, შედგა ვიდეო ჩვენება. დღევანდელი კამპანიის გზავნილი და სურვილები მონაწილეებმა გამოხატეს როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით.

„ჩვენ, მეორე სკოლელები, არ ვითვლით ქრომოსომებს! ყველას ვიღებთ ისეთს, როგორიც არის. გავუფერადოთ ერთმანეთს დღეები! ულევი წარმატებები ჩვენს საყვარელ ლანას!“ - აღნიშნულია სკოლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



სამოქალაქო კლუბ „ხორნაბუჯის“ და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ინიციატივა, „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“, დედოფლისწყაროში ბავშვთა და მოზარდთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ცენტრ „მზე“-ში განხორციელდა, რომელიც USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

დიმიტრი ბენაშვილის საუკუნო საგზალი

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელ კვალს ტოვებენ არა მხოლოდ თავის თანამედროვეებში, არამედ მომავალ თაობებსაც უმზადებენ ნიადაგს. სწორედ ერთი ასეთთაგანია* ДИМИТРИ ბENAШVILI *– ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, კრიტიკოსი, რედაქტორი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ფუნდამენტური კვლევები XX საუკუნის ისეთ დიდ მწერლებზე, როგორებიც იყვნენ ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ყაზბეგი.

მე-18 საუკუნეში ვინმე ბეინა ჩოლოყაშვილი მიზეზთა და მიზეზთა გამო, თავისიანებს გამოცალკევებია და დღევანდელი დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე დასახლებულა. გასულა დრო და ჟამი და მისი შთამომავლები ჯერ ბეინაშვილებად, ხოლო შემდეგ ბენაშვილებად წოდებულან.

დიმიტრი ბენაშვილის მამა – გიორგი ერთი კეთილშობილი ქიზიყელი გლეხი, განთქმული მომღერალი, საოცრად წარმოსადეგი და ლამაზი კაცი ყოფილა. მისი ნათელი, ცისფერი თვალები შვილს და შვილიშვილს გამოჰყოლია.

გიორგი და ნინო ბენაშვილები დიმიტრის გარდა კიდევ სამ შვილს ზრდიდნენ, ცხოვრობდნენ სოფ. ზემო მაჩხაანში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მახლობლად. ახლა მათ ნაფუძარზე 70-იან წლებში დიმიტრი ბენაშვილის მიერ აშენებული მშვენიერი სახლი იწონებს თავს.

პირველდაწყებითი განათლება დიმიტრი ბენაშვილმა სოფელში მიიღო. სკოლა ერთოთახიან შენობაში იყო განთავსებული, სადაც ერთდროულად სწავლობდნენ I, II და III კლასის მოსწავლეები. დიმიტრი ბენაშვილი სიყვარულით იხსენებდა პირველ მასწავლებელს - ელენე ბოსტაშვილს, რომელმაც გაუღვივა მას სწავლისადმი უსაზღვრო სიყვარული და მისცა ზნეობრივი აღზრდის პირველი გაკვეთილები.

აი, როგორ იგონებს დიმიტრი ბენაშვილს მეგობარი ГIORGI ნATROШVILI:

„დიმიტრი პირველად ვნახე მაშინ, როცა ჩვენ, 8-8 წლისანი ვიყავით, სკოლაში მიგვიყვანეს, ეს იყო ქიზიყში, სოფ. ზემო მაჩხაანში. მე ამ ვეება სოფლის ზემო უბანში ვცხოვრობდი, ხოლო დიმიტრი ანუ მიტო, როგორც მაშინ ვეძახდით, ქვემოუბნელი იყო. მიტო ლოყაწითელი ბიჭი იყო. მაღალი, ოქროსფერი ქოჩორი ჯიღასავით ედგა თავზე, თამამი და ძალიან ამაყი ჩანდა. თავის უბნელ ბიჭებში მას უკვე სახელი ჰქონდა, როგორც მოთავეს ყველა გასართობისა თუ ბავშვური თავშესაქცევისა, იქნებოდა ეს ჭიდაობა თუ სხვა რამ. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თავიდანვე მიტომ იცოდა ჯიქურად, მთელი სულითა და გულით შეჭიდება საქმისადმი. პატარა ბიჭი იყო, ასე 12-13 წლის ასაკში და შირაქში უკვე დიდების გვერდით მკიდა ყანას.

მახსოვს, ერთხელ შირაქის გზაზე, დიდნაურის ყანებზე რომ ამოვიარე, იქაური მომკელები დავინახე და ძლივს ვიცანი ჩემი თანაკლასელი – ოფლში იყო გახვითქული, თავი ნარმითა ჰქონდა წაკრული და ნეკნზე ხის გრძელი სათითე ეკეთა, გახურებულ მკაში იყო და ვიცოდი, ასაკის გამო შელავათს არც მოითხოვდა, ამას არ იკადრებდა და მზის ჩასვლამდე იტრიალებდა ნამგლით ყანაში.

ასეთი გულით შეჭიდება საქმისადმი, ასეთი დაუცხრომელი ხალისი თუ ღონე გამოიყოლა მიტომ სკოლაშიც, მერე უმაღლესში და ბოლოს ლიტერატურაშიც. ქართული მწერლობაც ხომ ერთი დიდი, უხვმოსავლიანი ყანაა და დიმიტრი ბენაშვილი აქაც იმ მომკელთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც კვალში ყველაზე მაღალ ათეულებს სდგამენ“. შემდეგ იყო ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი (შემდგომ სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებელი). 1929 წელს დიმიტრი ბენაშვილმა ჩააბარა თსუ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1933 წელს. შემდეგ იყო ასპირანტურა, საიდანაც იგი „ტროცკისტი ბენაშვილის ანტიმარქსისტული ლაყბობის „განაჩენით“ მე-3 კურსიდან გარიცხეს“. თვით დიმიტრი ბენაშვილის ნამბობიდან ცნობილია, რომ ძლივს დააღწია თავი დაპატიმრებას. 1937 წელს ერთმა მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწემ გამოიძახა და კატეგორიულად მოითხოვა მისგან ელიარებინა წერილობით, თითქოს ესსრებოდა ერთ-ერთ ფარულ თათბირს. სინამდვილეში დიმიტრი ბენაშვილი არცერთ თათბირს არ დასწრებია და ხელიც არ მოუწერია. ამის გამო დაემუქრნენ და დასაპატიმრებლადაც მივიდნენ ოჯახში, თუმცა, თბილისიდან იგი უკვე გადახვეწილი იყო. მოხდა სასწაული და ეს დამმუქრებელი პიროვნება დაუპატიმრებიათ. საგულისხმოა, რომ მეორე დღეს ეს ამბავი დიმიტრისთვის ნაადრევად მწერალ დია ჩიანელს (დავით ჩხეიძე) უცნობებია.

იმ დროინდელ თბილისს დიდხანს გაჰყოლია სალაპარაკოდ **დიმიტრი ბენაშვილის რაინდული გაბედულება, როდესაც მწერალთა კავშირის სასახლეში, ხალხით გადაჭედილ დარბაზისა და პრეზიდიუმში მსხდომ ცეკას მდივნების თანდასწრებით კატეგორიულად მოუთხოვია კომუნისტისგან „ვიწრო ნაციონალისტად“ შერაცხული ვაჟა-ფშაველას გადაკარგული სურათის კვლავ დარბაზში დაბრუნება.**

20 წლისამ პირველი წიგნი გამოსცა, 23 წლის კი უკვე მწერალთა კავშირის წევრია, რაც იმ დროისთვის საკმაოდ იშვიათი შემთხვევა იყო.

1939-1941 წლებში დიმიტრი ბენაშვილი მწერალთა კავშირის პერიოდული ორგანოს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორია. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა პირველად ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, რევაზ მარგიანის, დავით პატატიშვილის, იოსებ ნონეშვილის, გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსები. საგულისხმოა, რომ აქ ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ პირველად დაიბეჭდა არაერთი ბრწყინვალე ქმნილება „ცისფერყანწელებისა“, მათ შორის კოლაუ ნადირაძის იმ დროს მრავალთაგან ხელნაკრავი და განკიცხული პოეტური შედევრი – „წიწამურიდან საგურამომდე“.

დიმიტრი ბენაშვილს დიდი რეზონანსი ჰქონდა ლიტერატურაში. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ პირველ გამოცემაში. კაც ზვამბაიას კლავს შვილი, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი არზაყან ზვამბაია პრივატულ საუბარში დიმიტრი ბენაშვილმა აღნიშნა, რომ შვილისგან მამის მოკვლა ლოგიკურად გაუმართლებელი იყო. კონსტანტინე გამსახურდიამ მიიღო დიმიტრის შენიშვნები და შემდეგ გამოცემებში კაც ზვამბაიას კლავენ ტარბები, მოსისხლე მტრები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რას იტყოდა დიმიტრი ბენაშვილი ახალ ლექსზე, ახალ რომანზე, ახალ პიესაზე. ამიტომ ავტორებს ყველაზე მეტად მისი სიტყვა აინტერესებდათ და აღელვებდათ. მის აზრს წონა ჰქონდა, მის რჩევას – კეთილი სურვილი. აკი **კონტანტინე გამსახურდიას** ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე მიუმართავს დიმიტრისთვის: **„დიახ, თქვენ ყოველთვის მამხნევებდით და მათამამებდით, სწორედ თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა გამაბედინეთ „დიდოსტატის მარჯვენას“ შექმნა და „დავით აღმაშენებლის“ დამთავრებაო.**

დიმიტრი ბენაშვილი საფუძვლიანად იცნობდა ანტიკურ ლიტერატურას, დანტეს, შექსპირს, გოეთეს, ფლობდა გერმანულ ენასა და საერთოდ გერმანია წარმოადგენდა მისთვის უდიდესი შთაგონების წყაროს.

მეტად თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის დიმიტრი ბენაშვილს ქართველი კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. ნაშრომს „ვაჟა-ფშაველა - შემოქმედი და მოაზროვნე“ დიმიტრი ბენაშვილმა თითქმის 20 წელი მოანდომა. მან მთიულეთში ის კაციც კი მონახა (დიმიტრი ლუდუშაური), რომელმაც თავის დროზე ვაჟას ორი ობლის ზღაპარი უამბო და რომელსაც პოეტი „ბახტრიონის“ ბოლო სტრიქონებში ახსენებს და ეს ზღაპარი ხელახლა აამბობინა. ეს მას უბრალო ინტერესის გამო კი არ გაუკეთებია, არამედ ამ ზღაპრის ანალიზი დაეხმარა მას ამოეხსნა „ბახტრიონის“ ფინალის ფილოსოფიური ქვეტექსტი. დიმიტრი ბენაშვილი იყო ასევე ავტორი X კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოსი, რომელიც იმდენად პასუხობდა ასეთი სახელმძღვანელოსადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რომ მოკლე დროში რამდენჯერმე გამოიცა.

24 წლის დიმიტრი ბენაშვილი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტზე, ალექსანდრე ყაზბეგის შთამომავალ ვერა ჩოფიკაშვილზე დაქორწინდა (სანდრო ჩოფიკაშვილი, იგივე ალ. ყაზბეგი მისი პირდაპირი წინაპარია). **ახალგაზრდები ვერაზე, ბელისნსკის ქუჩაზე, ნაქირავებ უფანჯრო ოთახში დაბინავდნენ. დიდი სიყვარული ავიწყებდა მათ გაჭირვებას და მწუხარე ყოფას. უსათნოეს ქალბატონს უნივერსიტეტის შემდეგ არსად უმუშავია, შვილების აღზრდით იყო დაკავებული.** მეუღლისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა დიმიტრი ბენაშვილს ხევიც შეაყვარა. მოხეველებთან გატარებულმა წლებმა გადაანყვეტინა ალექსანდრე ყაზბეგზე მონოგრაფიის შექმნა. საგულისხმოა, რომ ეს იყო პირველი მონოგრაფია ხევის კლასიკოსზე და მას ავტორი თავის ერთ-ერთ საუკეთესო მეცნიერულ ქმნილებად მიიჩნევდა.

თანამედროვე ქართულ პოეზიაზე საუბარი უყვარდა. გალაკტიონის შემდეგ სამ პოეტს ასახელებდა: ტიციანს, ლადო ასათიანს და ანა კალანდაძეს.

სულ სხვა იყო დიმიტრი ბენაშვილი სუფრასთან. გთავაზობთ პროფესორ ETIER ШUШANIAS – ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის მოგონებას:

„დიმიტრი ბენაშვილს პირველად კონსტანტინე გამსახურდიასთან კოლხურ კოშკში შევხვდი. მე და ჩემმა კოლეგამ, რადიოს კორესპონდენტმა მარგო ჭეიშვილმა ბატონ კონსტანტინეს მივუტანეთ ფირი, სადაც იგი კითხულობს ნაწყვეტს რომანიდან „ლანდებთან ლაციცი“- ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა. კონსტანტინემ თბილად მიგვიღო და კაბინეტში შეგვიყვანა. სუფრაა გაშლილი. აქ არიან დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი, აკადემიკოსი პაატა გუგუნიშვილი და კიდევ სამი კაცი თელავიდან, კონსტანტინეს რომანის პროტოტიპები.

სუფრა გაშლილია დიდი სინატიფით, ვერცხლის, ბროლის, ფაიფურის სერვიზით. მაგიდაზე დგას სამნაირი ღვინო. კონსტანტინეს წინ დგას მსოფლიო მარკის ფრანგული კონიაკი „ნაპოლეონი“. კონსტანტინე მხოლოდ ამ სასმელს მიირთმევს. დიმიტრის ბროლის მაღალი ჭიქა წამდაუწუმ ივსება და იცლება წითელი კახურით. ფეხზე ადგომით შეისვა დიდოსტატის სადღეგრძელო. ბატონმა დიმიტრიმ ზეასწია სავსე ჭიქა და დაიწყო: შენ ბედნიერი ხარ, კონსტანტინე, თომას მანის საზოგადოებაში ტრიალებდი, ისმენდი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერების ლექციებს. რა უნდა ექნა ვაჟა-ფშაველას, თავის მეზობლის გადამკიდეს, რომელიც ყოველდღე შეაღებდა მის კარებს და როცა ნახავდა წიგნებში და წერაში ჩაფლულს, ეტყოდა: **შენ, სწორედ, საქმე გამოგწყვეტია, რა სულ მაგ ქაღალდებს ჩაჰღირღიტ-ჩაჰკირკიტებ, გაათავე, მორჩი მაგ მასხარაობას. სადაური ვაჟკაცის საქმეა ეგა!** აი, ასეთი ეკერმანი (გოეთეს პირადი მდივანი, მისი ცხოვრების ბიოგრაფი) ჰყავდა ვაჟა-ფშაველას. ეს თქვა და გადაეხვია კონსტანტინეს. კონსტანტინე ხელის ოდნავი აწევით (რომელზედაც სარდიონის თვლიანი ბეჭედი ეკეთა) სავსე სასმისით წარმოსთქვამს სამადლობელს: ჩემო დიმიტრი, მე მადლობელი ვარ შენით. შენ არ იყავ მათ შორის, ვინც მიკიჟინებდა-კონსტანტინე გამსახურდიამ გადაუხვია გორკის გზას და დაილუპა საქართველოო, ჩემი ცხოვრების მძიმე დღეებში ძმურად მედექი მხარში და მამხნევებდი. რა უბედური იქნებოდა ეს ქვეყანა, კარგი ადამიანები რომ არ ამშვენებედნენ მას. ჭიქა გამოსცალა და მკერდის მარცხენა მხარეზე ემთხვია“. სიცოცხლის უკანასკნელი წლები თავისი პირადი არქივის მოწესრიგებას მოანდომა. არავის ანდობდა ამ მისთვის განსაკუთრებულად „საკრალურ“ საქმეს - ჩანაწერებს, რომელთაც მხოლოდ მისი არყოფნის შემდეგ უნდა მოეთხროთ ავტორის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ისტორია.

70 წელს მიღწეულ ДIMITRI ბENAШVILS მძიმე სენმა დარია ხელი. ეს ათლეტური აღნაგობის, გონებანათელი და ულამაზესი კაცი თანდათანობით გატეხა და ბოლოს დაიმორჩილა კიდევაც. DIMITRI ბENAШVILI 1982 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია DIDOBIS მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დიმიტრი ბენაშვილის მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელია მისი ვაჟიშვილი გურამი-საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, შვედეთის აკადემიის ნობელის პრემიების კომიტეტის მთავარი ექსპერტი საქართველოში, ლიტერატურის დარგში. სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს კულტურის ელჩი, ღირსების ორდენის კავალერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ქალიშვილი (აწ. გარდაცვლილი ნელი ბენაშვილი) ცნობილი გერმანისტი, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

დიმიტრი ბენაშვილმა ამ წუთისოფელში თავისი ხელით შექმნა „ხურჯინი“, რომელიც დატვირთული იყო ყოველივე კარგი და კეთილი საქმით, რაც მას უკეთებია. მან საუკუნო საგზლად წაიღო უამრავი თბილი მოგონება და სიყვარული თავისი გამოზრდილი ახალგაზრდებისა, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავეს საზოგადოებაში.

დიმიტრი ბენაშვილი იყო ის ადამიანი, ვისზეც იტყვიან – ქალაქს უხდებაო. დიახ, იგი უხდებოდა ქალაქს, იგი ამშვენებდა მას, იგი უხდებოდა თავის სოფელს – ზემო მაჩხაანს, უხდებოდა ქიზიყს, კახეთს და საერთოდ მთელ ჩვენს ქვეყანას.

(საინტერესო მასალები მოგვაწოდა ოჯახის ახლობელმა, დედოფლისწყაროს საკრებულოს დეპუტატმა გიორგი გოგილაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას).

ДALI BAGLAШVILI
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი.

აქვე გთავაზობთ ლადო ასათიანის გალექსილ წერილს, მიძღვნილს დიმიტრი ბენაშვილისადმი:

„ალბათ, ახალ „თაობაში“ ძველებურად ზახარ ისევ,
გვერდით გიზის ერემია*, გეშატება სიხალისე;
მომენატრა, დიმიტრიჯან, ძველებური ქამანჩობა,
შენ, „თაობავ“, გაგიმარჯოს, შენ, დიმიტრი გამარჯობა!
მე კარგად ვარ, დენთი ვიყავ და ისევე ვრჩები დენთად,
საქართველოს სიყვარულით ჩემი სული დაითენთა.
დამაქვს „ბარმის“ მონასტერი, სტენდალი რომ აზრით სტენ–და,
კითხვამ ისე გამიტაცა, რომ ფურცლებზე დამათენდა.
მე კარგად ვარ, ისევ დავლევ, თბილისში რომ ღვინოს ვსვამდი,
მტრის ჯინაზე, ისევ ისე შეყვარება ფიროსმანი.
ჩემი გზა მაქვს, ჩემი ჭკუა, წითლად ღვიძის ჩემი ჯვარი,
და ვერავინ ვერ შეიძლებს, დამავიწყოს სანუკვარი...
მე კარგად ვარ, დიმიტრიჯან, მხოლოდ ერთი უნდა გთხოვო,
ჩემი ლექსი სულ დაბეჭდე, ნომერი არ გამოტოვო
კარგად იცი, მიზანი მაქვს, რაც არ უნდა დავაფეთო
გამიგრძელდა, თუმც შემეძლო, ორჯერ მეტი დამეწერა;
ცოტა კიდეც მეზარება, ცოტა კიდეც ავადა ვარ!
თორემ ლექსი და სათქმელი რა ეშმაკმა გაათავა?
გამიგრძელდა, მაგრამ ერთი უნდა გითხრა მაინც ნაღდად,
როგორც ვატყობ, ყველა კაცი დღეს კავშირის წევრი გახდა,
და მე ნუთუ მთლად გლახა ვარ, რომ დამტოვეს ასე „სხარტად“,
ჩემი ჭკუა და გონება ნუთუ ასე გაქესატდა?
ეს ისე ვთქვი, სხვათა შორის, მძულს ამგვარი ბრიყვულები,
სად მცალია, ლექსებს ვმღერი, ბუნებაში ვიყურები,
მარტოობით ვიმოსები და დუმილით ვიხურები;
დავანგრიე და ჩავლეწე ტყეში ნიცშეს ჯიხურები!
ეს ისე ვთქვი, რადგან სული აღელდა და ათაკარდა,
მე სხვა არ მწამს არაფერი, ყველა ფეხზე დამეხლართა;
საქართველოს, ფიროსმანის, პოეზიის, ლექსის გარდა...
ასე იცის განშორებამ, ცხელის გულის გახურებამ,
არ გეწყინოს, დიმიტრიჯან, ეს ლექსი და გახუმრება.
შენ კაცი ხარ, კარგად იცი, ბულიონს რომ ყაურმა სჯობს!
შენ ვაჟკაცურ სითამამეს,–შენს ბიჭობას გაუმარჯოს!...
ეს წერილი, აბასთუმნის მწვანე ტყიდან მონაბერი,
მოვა შენთან თავდახრილი ისე, როგორც მონა ბერი,
იტყვის: თვალებს ბენაშვილის კიდევ უნდა დავეენახო,
პოეტები, მომღერლები, სახლო, ეზოვ და ვენახო,
მერე წუთით დაფიქრდება, ეგონება თავი სტამბოლს:
–შეგიშლები და კაცს მოვკლავ, ახლა რომ არ დავისტამბო!

* (ერემია ქარელიშვილი-რედაქციაში კრიტიკის განყოფილებას განაგდებდა“).

მეგობრულად - ЛADO ASATIANI
1940 წ. 5 ივლისი. აბასთუმანი

„გამოზაფხულდეს, ნეტავი მალე...“

23 მარტს, სამრეკლოს კულტურის სახლში, გაზაფხულის დღეებთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის უფროსი მამუკა ყავრელიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, მედიისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე, თითქმის ყველა გამომსვლელი დებიუტანტი გახლდათ. დამსწრე საზოგადოების წინაშე მცირე სასცენო დადგმებით წარსდგნენ სამრეკლოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. მხატვრული ნომრები შესთავაზეს კულტურის სახლის აღსაზრდელებმა: თეკლა წიკლაურმა, თაზო წიკლაურმა, თეკლა გაბიადაურმა, მარიამ ჭუჭულაშვილმა და ანა ბოსტოღანაშვილმა. პატარა კოლეგებს გვერდით ამოუდგნენ და მათთან ერთად დღევანდელი დღის სიხარული გაიზიარეს: ნანა წიკლაურმა თავისი შესანიშნავი ხმით, თამაზ წიკლაურმა თავისი მჭექარე პოეტური ხმით, გენადი გელაძემ საშემსრულებლო, განსხვავებული სტილის სიმღერით.

სამრეკლოს კულტურის სახლში გამართული საგაზაფხულო ღონისძიება, თანასოფლელისა და ამჟამად ემიგრანტის, პოეტ მაია წიკლაურის შემოქმედებასა და მისი პირველი ლექსების კრებულის - „მე დავბრუნდები“ პრეზენტაციასაც მიეძღვნა. ღონისძიების იდეის ავტორმა და ღონისძიების წამყვანმა კულტურის სახლის თანამშრომელმა, ნათელა ბეკოშვილმა, საზოგადოებას წიგნი „მე დავბრუნდები“ გააცნო, ღონისძიებაც მისი ლექსების გაცნობითა და მოგონებების გახსენებით გაგრძელდა. როგორც მისი წიგნის ეპილოგში ვკითხულობთ, „მაია წიკლაური თავისი ლექსებით ეხმიანება საზოგადოებას და საკუთარი გულის წადილს გაანდობს. რომანტიზირებას ახდებს მოვლენათა და ფაქტთა, გააჩნია მძაფრი ნოსტალგია სამშობლოს მონატრებისა, გარდასულ დროთა პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე საუბრობს ავტორი, ცდილობს, რომ ოპტიმისტი იყოს და განვლილი წლები ობიექტურად შეაფასოს. პატრიოტულ თემასაც ეხება, ასევე მეგობრობისა და თავისუფლების თემებიც სჩანს მის პოეზიაში. მაია წიკლაურის შინაგანი სამყაროს გამოხატულებაა მისი პოეზია, ისეთი უშუალო და ბუნებრივია თხრობის სტილი, რომ მკითხველი აღტკინებული მიჰყვება ავტორს ოცნებათა უსასრულობაში. სიყვარულის თემა იმდენად სათუთი და საინტერესოა მის პოეზიაში, რომ მკითხველი უსათუოდ იგრძნობს ავტორის შინაგან სამყაროს, დარწმუნდება იმაში, რომ სიყვარულითა და სიკეთით სავსე ადამიანი წერს ამ სტროფებს.“

მკითხველს ვთავაზობთ მაია წიკლაურის წიგნიდან რამდენიმე ლექსის ამონარიდს:

„გამოზაფხულდეს ნეტავი მალე,
სიჩუმე მერცხლის ბუდის გულს მიკლავს,
ბარტყების ცქერა აკლია თვალებს,
მე მათი სუნიც, ბუმბულიც მიყვარს.
ვიცი, ყოველთვის დაბრუნდებიან,
გოგო შუქია და ბიჭი – მათე,
ბუდეს წუთით არ მოსცილდებიან,
მაინც ვწუხვარ და დამეებს ვათევ.
გადაფრენა და გადმოფრენები,
გამოზამთრება უცხო მხარეში...
გადამირჩინე ღმერთო მერცხლები,
ხიფათით სავსე არემარეში.
ბუდე უთქვენოდ არ დამრჩეს ნეტავ,
გაზაფხულიც ხომ თქვენს ჭიკჭიკს მოაქვს,
თქვენი თვალებით სიცოცხლეს ვხედავ,
თუმცა ზამთარსაც თავისი დრო აქვს.
არ დამეკარგოთ, ჩემო მერცხლებო,
დაბრუნდით, გული გამიხალისეთ,
ვიდრე დააჭკნობს ლოყას ცრემლები,
მეც დაბრუნება, ბედო, მადირსე!...“

* * *

„მე მიყვარს ჩემი პატარა მხარე,
მთებით, ტბებით და ბარით, ჭაობით,
მომეცით ნება, რომ გითხრათ რამე,
გადაღლილებო, არარაობით.
ამ ძნელ დროებას მრუდედ ვერგებით,
არც თვითონ ცდილობს ჩვენთან მორგებას,
იმის ნაცვლად, რომ დავრგოთ ნერგები,
ვაგრძელებთ ბოდმის, დარდის მოგებას.
ჩავჭაობდით და ყველა ჭაობი,
ბოლოს სისხლისმსმელ წურბელებს რჩებათ,
ხოდა დაღლილი არარაობით,
გადავეკიდეთ ერთმანეთს მტრებად!
მოდით, ახალი ვაზები დავრგოთ,
შევხედოთ ზეცას რა ცისფერია,
ღმერთმა სამოთხის ნაწილი გვარგო,
რად გვინდა მეფე და იმპერია!“

* * *

„არა ვარ ლექსების ოსტატი,
სიტყვებით არასდროს ვჯამბაზობ...
ვიცი, რომ არა ვარ პოეტი,
მე მხოლოდ იმას ვწერ, რასაც ვგრძნობ.
ჩემს პაპას მელექსე უწოდეს,
მომწონს და ქართულსაც უხდება...
მეც ლექსის ქალი ვარ, სიტყვები,
სულიდან ამომიქუხდება!“



მაია წიკლაური თურქეთში, ქალაქ კარამურსელში ცხოვრობს და წლებია, იქ მცხოვრებ ქართველებს ქართული დამწერლობისა და ენის უკეთ შესწავლაში ეხმარება. „მარტოობისგან მგონი ვგიჟდები,/ არ ვიცი, ბრბოდან როგორ გავიქცე/“, - ამბობს ერთ-ერთ ლექსში. „ვიცი, რომ საბოლოოდ მაინც საქართველოში დავბრუნდები, აქ ვერ იქნება ჩემი სამარე. ჩემს ფესვებს უფალი სულ მახსენებს, სიზმრებითაც კი.“ - უზიარებს თავის ფიქრებს მაია ერთ-ერთ გამოცემას.

ავტორს ვუსურვებთ წარმატებას, შემოქმედებით წინსვლასა და მკითხველის სიმრავლეს. მისი ლექსები გვაფიქრებინებს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მისგან საინტერესო სიახლეებს მუდმივად უნდა ველოდეთ. სოფელ სამრეკლოსა და მის კულტურის ცენტრს მადლობას გადავუხდით ასეთი საინტერესო და ნიჭიერი პოეტებისა თუ შემსრულებლების წარდგენისათვის. ნიჭი არასდროს იკარგება, ის აუცილებლად იპოვნის თავის გზას. სწორედ ამ გზის პოვნას, შენარჩუნებასა და კეთილმოწყობილ, ნოყიერ ნიადაგს გისურვებთ მომავალი ტრამპლინებისთვის.

დედის დღე არბოშიკის საჯარო სკოლაში...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლაში 3 მარტი აღნიშნეს. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისა და ენის უკეთ შესწავლის მიზნით, არბოშიკის საჯარო სკოლის უცხოურ ენათა კათედრაზე დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიება დედის დღესთან დაკავშირებით.

VII კლასის მოსწავლეებმა მოიძიეს, დაამუშავეს და პრეზენტაციის სახით წარუდგინეს აუდიტორიას ცნობილი ადამიანების გამონათქვამები დედის შესახებ, რომელთა მოსმენაც სასიამოვნო აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის. მათ ასევე გამოუშვეს კედლის გაზეთიც. ბავშვებმა მოიწვიეს მშობლები და მათთვის დაამზადეს მისალოცი ბარათები. „სასიამოვნო იყო ინგლისურ ენაზე ამეტყველებული მოსწავლეების მოსმენა და ნახვა. მათ უდიდესი სითბო და სინაზე გამოხატეს დედების მიმართ. დღემ ნამდვილად სასიამოვნოდ ჩაიარა“ - აღნიშნა ინგლისური ენის პედაგოგმა ჯუნა ნატროშვილმა.

მერვე კლასშიც ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საზეიმო ფორმებში გამოწყობილმა მოსწავლეებმა მოწვეულ დედებსა და პედაგოგებს ინგლისურ ენაზე ლექსები და ლამაზი სიტყვები მიუძღვნეს, გააჟღერეს გამოჩენილი ადამიანების სხვადასხვა გამონათქვამები დედაზე. ღონისძიების ბოლოს დედებს მიართვეს საკუთარი ხელით დამზადებული მისალოცი ბარათები ინგლისურ ენაზე. მოწვეულ სტუმრებს მიართვეს ჩაი და ტკბილეული. ღონისძიება დამთავრდა სიმღერებით და ცეკვებით მშობელთა ჩართულობით. „2023 წლის 3 მარტი დარჩება ერთ-ერთ დასამახასოვრებელ დღედ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ცხოვრებაში“ - აღნიშნა ინგლისური ენის პედაგოგმა ზოია ბატიაშვილმა.

გაზაფხულის დღესასწაულების აღნიშვნას უცხოურ ენათა კათედრაზე შეუერთდა და VII კლასში დასკვნითი ღონისძიება გამართა, რუსული ენის პედაგოგმა ლალი ყანჩაშვილმა. მოსწავლეები შემოქმედებითად მიუდგნენ ღონისძიებას, დაამზადეს კედლის გაზეთი, მოამზადეს ლექსები და სიმღერები, რომლებიც დედებს მიეძღვნათ. „საინტერესო და ინფორმაციული გამოვიდა ჩვენი ღონისძიება, ბავშვები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ყველამ დიდი წვლილი შეიტანა ლამაზი ღონისძიების მოწყობაში“ - აღნიშნა პედაგოგმა ლალი ყანჩაშვილმა.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

მაჩხაანის ფერმიდან გაუჩინარებული 10 000 ლარი

დედოფლისწყაროს სოფელ ზემო მაჩხაანში „თელაწყლის“ ტერიტორიაზე ფერმიდან 10 000 ლარის თაღლითურად დაუფლების საქმე ჯერ სიღნაღის სასამართლომ განიხილა, შემდეგ კი ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრდა. „შირაქი“ ორივე ინსტანციის სასამართლოს დოკუმენტებს გაეცნო. თაღლითობის მუხლით დაკავებულის ადვოკატმა სიღნაღის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა და დაკავებულის გამართლება და გათავისუფლება მოითხოვა. დაკავებულის მხარე აღიარებდა დაზარალებულის მიმართ ფინანსურ დავალიანებას, თუმცა მიუთითებდა, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე არ არის და სამოქალაქო წესით უნდა განიხილონ.

სექტემბრის თვეში მ-ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითური გზით, მოტყუებით დაეუფლა ს-ს კუთვნილ 10 000 ლარს, რითაც მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა სიღნაღის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას. ასევე, უარის თქმის შემთხვევაში, დაცვის მხარე ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის – 7000 ლარის ჯარიმის მინიმუმამდე შემცირებას.

დაცვის მხარე განმარტავს, რომ მსჯავრდებულმა ს-სგან ორი კვირით ისესხა 10 000 ლარი, საპროცენტო სარგებლით და არ დაუმალავს, რომ თანხა არა თავისთვის, არამედ მისი ნათესავისათვის ესაჭიროებოდა. ეს დადასტურდა საქმის განხილვისას, ხოლო პროკურორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გამამტყუნებელი განაჩენისათვის აუცილებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა მ-ის ბრალეულობაში. ამის გათვალისწინებით აპელანტი ითხოვდა მსჯავრდებულის გამამართლებელი განაჩენის დადგენას. პროკურორმა მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

„სააპელაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოთხოვნა მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით, არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან არგუმენტები შეუსაბამოა სასამართლოზე გამოკვლეულ იმ მტკიცებულებებთან, რომლებიც ცალსახად და უტყუარად ადასტურებენ მ-ის მიერ ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას“.

სიღნაღის სასამართლო სხდომაზე მ-მა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ დაზარალებული მისი მეგობარია, ფერმაში ცხოვრობდნენ მეზობლად. სექტემბრის თვეში დასჭირდა თანხა და ვინაიდან იცოდა, რომ ს-ი ფულს აპროცენტებდა, ჰკითხა – შეეძლო თუ არა, ესესხებინა. მანამდეც არაერთხელ გამოურთმევია სესხად და დაუბრუნებია. 10 000 ლარი გამოართვა ს-ს და მისცა სიმამრის ძმას მ-ვ-ს. როცა ს-მა ტელეფონზე განუცხადა, რომ ასესხებდა, საკუთარი მანქანით მივიდა დაზარალებულთან ფერმაში, სადაც ასევე იყვნენ მისი ოჯახის წევრები და მეზობლები, მოუტანეს რეზინით შეკრული ფული, რომელიც დაითვალეს და ისევ შეკრეს. ფურცელზე მოაწერა ხელი, რომ 10 000 ლარი ისესხა და 11 000 ლარი უნდა დაებრუნებინა. ჩანაწერი გაკეთდა რვეულში. ხელმონერა გავს მის ხელმოწერას. სიმამრის ძმამ მ-ვ-მა ორი კვირის შემდგომ დაუბრუნა 10 000 ლარი, თუმცა ვინაიდან პირადი პრობლემების გამო თავადაც ესაჭიროებოდა ფული, მხოლოდ 2000 ლარი მისცა ს-ს, დანარჩენს კი მოგვიანებით დაუბრუნებდა. ს-ს პრეტენზია არ განუცხადებია. შემდეგ სხვადასხვა დროს ს-ს გადასცა 900 ლარი და 1000 ლარი, თუმცა იგი ძალიან ავიწროვებდა და სთხოვდა, მალე დაებრუნებინა. ბიძაშვილის დახმარებით შეძლო კიდევ დაებრუნებინა 3000 ლარი; თან სთხოვა, რომ გაეთვალისწინებინა მისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და პროცენტი არ მოეთხოვა, მაგრამ ს-ნმა უარი განუცხადა. მოგვიანებით მოახერხა კიდევ 600 ლარის გადახდა, რის შემდეგაც ს-ს უთხრა, რომ მიდიოდა თურქეთში და იქიდან ჩამოსვლის შემდეგ სრულად დაუბრუნებდა დარჩენილ თანხას. თურქეთიდან სულ 3000 ლარი ჩამოიტანა, ამ დროს გარდაეცვალა მამა, ასევე იყიდა საქონელიც და ფული დაეხარჯა. ს-ისათვის გადასახდელად დარჩენილი ჰქონდა 2500 ლარი, თუმცა, როგორც ახსოვს, იგი 5500 ლარს სთხოვდა პროცენტის სახით და დაემუქრა, რომ უჩივლებდა. დაკავებულმა განმარტა, რომ ს-სთვის სულ დაბრუნებული აქვს 7500 ლარი და მისაცემი აქვს 2500 ლარი.

დაზარალებულმა ს-ა-ვმა განაცხადა, რომ ცხოვრობს სოფელ ზემო მაჩხაანის თელაწყლის ფერმაში, უვლის თავის საქონელს და ყოველ წელს იხდის ქირას 10 000 ლარს. მ-სთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა და ერთმანეთის ოჯახებშიც ხშირად ყოფილან სტუმრად. 10 სექტემბერს წავიდა სხვა სოფელში, ფერმაში დარჩნენ მისი მეუღლე მ-ვა და რძალი ფ-ი. საქონელი მის ვაჟს ჰყავდა მიბარებული. სოფლიდან დაბრუნდა საღამოს 7-8 საათზე, მეუღლემ უთხრა, რომ მათთან მისული იყო მ-ი, რომელმაც 10 000 ლარი წაიღო. ს-ს განმარტებით, დაკავებულს მანამდე თავად უთხრა, რომ საქონელი გაყიდა და სახლში ჰქონდა 10 000 ლარი ქირის გადასახდელად. მეუღლე თანხას არ აძლევდა და უკითხავს – შენ რატომ გამოგაგზავნა, რატომ თვითონ არ წაიღო დილითო. მ-ს უთქვამს, თუ არ სჯეროდა მისი, ს-ს ტელეფონზე გაასაუბრებდა. აკრიფა ნომერი, მაგრამ მიუწვდომელი იყო. ამასთან შეუთავაზებია, რომ ხელწერილს დაწერდა თანხის წაღების თაობაზე. დაწერა ხელწერილი აზერბაიჯანულ ენაზე, თუმცა მისმა მეუღლემ წერა-კითხვა არ იცის და ვერ გაარკვია რა ეწერა. ასევე მისმა რძალმაც არ იცის აზერბაიჯანულ ენაზე წერა-კითხვა და მხოლოდ ციფრები ამოიცნო – „10 000“, რის შემდეგაც დაუჯერეს და გაატანეს. როდესაც სახლში მისულმა ეს ხელწერილი ნახა და წაიკითხა, ეწერა რომ წაიღო 10 000 ლარი და 25 სექტემბერს დააბრუნებდა. მაშინვე დაიწყო მ-ს ძებნა, რომელიც ემალებოდა. ერთი კვირის თავზე, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, უთხრა, რომ ბანკის ვალი ჰქონდა, სხვაგან ვერ იშოვა და ამიტომ მოატყუა მისი მეუღლე. შეპირდა, რომ თანხას მალე დაუბრუნებდა. 2-3 დღეში ღამის 12 საათზე შეხვდნენ და დაუბრუნა 4000 ლარი, მოგვიანებით კი გადასცა 500 ლარი. შემდეგ პირდებოდა, დარჩენილ თანხასაც, თუმცა აღარ დაუბრუნებია. როდესაც მ-ი თურქეთიდან დაბრუნდა, მივიდა მასთან სახლში, სადაც შეიტყო, რომ მამა ჰყავდა გარდაცვლილი. განუცხადა, რომ ფული არ ჰქონდა, ამიტომ თავი დაენებებინა მისთვის და სადაც უნდოდა იქ ეჩივლა. დაზარალებულის განმარტებით, სესხად ფულს არ გასცემს და არც მ-ისათვის უსესხებია ფული არასდროს. მოწმემ ასევე დაადასტურა, რომ მ-ის ახლობელს მისთვის ფული არ მიუცია და მ-ს მისთვის მისაცემად დარჩენილი აქვს 5500 ლარი.

მოწმე მ-ვამ განაცხადა, რომ დაზარალებული მისი მეუღლეა, 2 წელია ცხოვრობენ თელაწყალის ფერმაში. დიდი ხანი ფიქრობდა, მიეცა თუ არა თანხა მ-ისათვის, რომელმაც უთხრა, თუ რატომ ფიქრობდა ამდენს. ამოხია რვეულიდან ფურცელი და რაღაც დაწერა, თუმცა წერა-კითხვა არ იცის და უთხრა, რომ სიმართლე დაეწერა. შემდეგ გამოუტანა ფული და გადასცა მ-ს. ეს იყო 100 ლარინი კუპიურების ერთი შეკვრა, ყვითელი ფერის რეზინი. საუბარი მიმდინარეობდა 5-10 წუთი. იგი ენდო მ-ს, ვინაიდან ხშირად მიდიოდა მათ ოჯახში და ვერ წარმოიდგენდა თუ მოატყუებდა.

ფერმის მეპატრონე, მოწმე დ-მა განაცხადა, რომ დაზარალებულს დაქირავებული აქვს მისი ფერმა, ქირა წინასწარ უნდა მიეცა, თუმცა სთხოვა, რომ რამდენიმე დღეში გაყიდდა საქონელს და შემდეგ გადაუხდიდა. 12 სექტემბერს მივიდა ფულის გამოსართმევად, თუმცა ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მეზობელი იყო მისული, რომელსაც მოტყუებით წაიღო ფული.

მოწმე მ-ა განაცხადა, რომ მ-ი არის მისი ძმისშვილის მეუღლე. ვინაიდან „ვითიბი“ ბანკიდან აღებული სესხის გასასტუმრებლად ესაჭიროებოდა ფული, დახმარება სთხოვა დაკავებულს. ჰკითხა - ხომ არ იცნობდა პიროვნებას, ვინც პროცენტით ასესხებდა. ის დახმარებას დაპირდა, 8 სექტემბერს დაურეკა, რომ მისულიყო ბოდბეში ფულის ნასაღებად. როგორც მან განუმარტა, ს.ა-ვს გამორთვა 10 000 ლარი 10%-ში. ფულის გადაცემა ქუჩაში მოხდა და უთხრა, რომ რაც მალე დააბრუნებდა თანხას, უკეთესი იქნებოდა პროცენტის გამო. თანხა შეიტანა „ვითიბი“ ბანკში, ხოლო ორი თვის შემდეგ სოფელ იორმუღალოში თანხა დაუბრუნა დაკავებულს. ორი დღის შემდეგ დაურეკა და უთხრა, ფულის პატრონი მისულია და შენც დაესწარი ფულის გადაცემასო, თუმცა არ დასწრებია. შემდეგში პატრონს შუამავლის გარეშე კითხა – გადასცა თუ არა ფული. დაუდასტურა ფულის მიღება და უთხრა, რომ მცირეოდენი თანხა დარჩა მისაცემი, რასაც მნიშვნელობა არ ჰქონდა.

„საქართველოს ბანკის“ ანგარიშის ამონაწერით დგინდება, რომ მ-ს 16 ნოემბერს ანგარიშზე აქვს შეტანილი 8000 ლარი, ასევე 3430 ლარი. 11 სექტემბრის შემოსავლის ორდერით დგინდება, რომ მ-ს 10 413 ლარი აქვს ხალაფ ხალაფოვის სესხის სრულად დასაფარად შეტანილი, სს „ფინკა ბანკი“ წნორის სერვისცენტრის მეშვეობით.

განსახილველ შემთხვევაში პალატამ იმსჯელა ს-ს ოჯახიდან მათი კუთვნილი თანხის - 10 000 ლარის დაუფლებისას მ-ი მოქმედებდა თუ არა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და ამ მიზნის მისაღწევად, მან დაზარალებულის ოჯახის წევრებთან გამოიყენა თუ არა სპეციალური ხერხი – მოტყუება. კერძოდ, მათ შორის არსებული ნდობის ფაქტორის გათვალისწიებით, რამდენად შეიყვანა ისინი შეცდომაში.

იმ პირობებში, როდესაც მ-მა იცრუა მ-ვას და ფ-ის წინაშე, თითქოს თანხა ესჭიროებოდა ს-სათვის გადასაცემად; ამასთან, მან ისარგებლა როგორც მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, ასევე მოპოვებული ნდობის კიდევ უფრო გასამყარებლად დაწერა ხელწერილიც და შეეცადა თითქოსდა ტელეფონზე დარეკვას, სახეზეა თაღლითობის ობიექტური მხარისათვის სავალდებულო ყველა ნიშანი. რაც შეეხება მოწმეების - მამადალი ისრაფილოვის და ნ-ის ჩვენებებს, რომ თითქოს მ-ს ს-სგან სესხის სახით ჰქონდა აღებული თანხა 10 000 ლარი, პალატის მიერ ვერ იქნება გაზიარებული. განმარტებები წინააღმდეგობაში მოდის სხვა მტკიცებულებებთან და წარმოადგენს მსჯავრდებულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების აშკარა მცდელობას. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევიან დასკვნის საფუძველს, რომ მ-ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ს-ს ოჯახიდან დაზარალებულის კუთვნილ ქონებას, რა დროსაც იგი მოქმედებდა სპეციალური ხერხის – მოტყუების გამოყენებით. ამდენად, სასამართლომ შეაფასა თითოეული მტკიცებულება ცალ-ცალკე, ასევე მათი თანხვედრა დანარჩენ მტკიცებულებებთან, მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება მ-ის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. სახეზეა იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის მახასიათებელი ყველა ნიშანი, რისთვისაც პირველი ინსტანციის მიერ მ-ი დამნაშავედ იქნა ცნობილი. რაც შეეხება დანიშნულ სასჯელს, პალატა განმარტავს, რომ მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 7000 ლარი არის ზედმეტად მკაცრი, არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რის გამოც ცვლილება უნდა შევიდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში. ამდენად, სასამართლომ დ ა ა დ გ ი ნ ა: **მსჯავრდებულის ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ცვლილება შევიდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს განაჩენში; მ-ს-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ** სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა 3000 ლარით,“ – ნათქვამია მოსამართლე მანუჩარ კაპანაძის განაჩენში.

ილია მარტყოფლიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხუთ დეპუტატს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხუთ დეპუტატს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. მმართველმა უმრავლესობამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მხარი დაუჭირა ირაკლი კოვზანაძის, გიორგი ხელაშვილის, ვლადიმერ ჩაჩიბაიას, ნინო იობაშვილისა და ასევე, გიორგი ამილახვარის სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის საკითხს.

კოვზანაძეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა. დანარჩენი ოთხი დეპუტატისთვის მანდატის შეწყვეტის საფუძველი მათ მიერ პარლამენტის წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება გახდა.

როგორც პლენარულ სხდომაზე, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, ვლადიმერ ჩაჩიბაია და ნინო იობაშვილი პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა კაბინეტში მრჩევლის თანამდებობაზე დაინიშნენ, გიორგი ხელაშვილი კი პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის მრჩეველი გახდა, რაც პარლამენტის წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობაა. რაც შეეხება გიორგი ამილახვარს, ის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე დაინიშნა.

ხატია დეკანოიძემ „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასვლის გადაწყვეტილება მიიღო

პარტიის მენეჯმენტთან ჩემი შეუთანხმებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ძველი პარადიგმის დაბრუნება „ნაციონალურ მოძრაობაში“, რაც ვფიქრობ, გამართლებული არ არის, - ასე პასუხობს ხატია დეკანოიძე კითხვას იმის თაობაზე, იყო თუ არა შეუთანხმებლობის ერთ-ერთი მიზეზი ვანო მერაბიშვილის ფაქტორი.

მისი თქმით, ახალ რეალობაში, როცა საერთოდ სხვა მოცემულობაა და მრავალი წელია გასული, „ძველი პარადიგმით პარტიის მმართველობა არ იმუშავებს“. დეკანოიძის თქმით, პარტიიდან წასვლის თაობაზე მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიცვლება.

„ვფიქრობ, ჩემი მხრიდან ეს არის სწორი გადაწყვეტილება, მტკივნეული, ემოციური, მაგრამ სწორი. მიუხედავად ამისა, არც ერთ ჩემს წუთს არ გავატარებ ისე პარლამენტში და პარლამენტს მიღმაც, რომ არ დავიცვა პოლიტპატიმრები, არ ვიბრძოლო მიხეილ სააკაშვილის ტრანსფერისთვის, მისი გადარჩენისთვის, ნიკა გვარამიას თავისუფლებისთვის და საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართულებით, რაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი - ჩემს ძალისხმევას არ დავიშურებ. რაც შეეხება მიზეზებს, ამაზე ვისაუბრე და მთავარი მიზეზი ეს არის ის, რომ ძველი პარადიგმით პარტიის მმართველობა არის გაუმართლებელი და ვფიქრობ, ახალ რეალობაში, როცა საერთოდ სხვა მოცემულობაა და მრავალი წელი გავიდა, ეს უბრალოდ არ იმუშავებს. მიუხედავად ჩემი გადაწყვეტილებისა, წარმატებას ვუსურვებ პარტიას, ამ ადამიანებს და იქ არიან ადამიანები, ვისთანაც ვმეგობრობ დიდი ხანია, ასევე წარმატებას ვუსურვებ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ოპოზიციურ ფლანგზე იქნება ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ. ჩემი გადაწყვეტილება არის საბოლოო, არ შეიცვლება, უახლოეს პერიოდში ეს გაფორმდება ოფიციალურად, მათ შორის, ფრაქციას ვგულისხმობ“ - განაცხადა დეკანოიძემ.

თემურ ჩალაბაშვილის „საუბარი გულთან“

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა თემურ ჩალაბაშვილის წიგნის „საუბარი გულთან“ პრეზენტაცია. ქიზიყელი პოეტის წიგნი გამოიცა ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით. რედაქტორები: ედუარდ უგულავა, მაია მიქაია, ტექნიკური რედაქტორი-თამარ შაიშმელაშვილი. წიგნის თავფურცელზე დაბეჭდილია სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის სიტყვა:

„თემურ ჩალაბაშვილი ჩვენი დროის გამორჩეული შემოქმედია. სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გაჯერებული მისი პოეზია სულ სხვა ელფერს ატარებს. მისი ტკივილი და სიხარული სხვისი ტკივილი და სიხარულიცაა. ეს გრძნობა ისეთი სიღრმითა და გულწრფელობით ეძლევა მკითხველს, რომ ადამიანი ამ განცდის თანაზიარი მაშინვე ხდება.

სიცრუით სავსე ჩვენს დროში ამის მიღწევა ადვილი არ არის. ღმერთმა დალოცოს ბატონი თემური და დიდხანს ამსახოროს სიტყვას. ღმერთს და ჩვენს ქვეყანას“.

საღამო გახსნა საქ.წიგნის დირექტორმა ლია მეტრეველმა. დამსწრე საზოგადოებას თემურ ჩალაბაშვილის წიგნი „საუბარი გულთან“ წარუდგინა და ყურადღება გაამახვილა შესავალში დაბეჭდილ ზაალ ბოტკოველის შთამბეჭდავ სიტყვაზე (წარმოთქმული მისი დაბადების 70 წლისთავზე) - „ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია“. გთავაზობთ ამონარიდს ამ სიტყვებიდან: „თვითონ იგი თავის სამშობლოს წააგავს. თითოეული ღარი, თითოეული ნაოჭი მის სახეზე იმ უბედურებისა და უსამართლობის შედეგია, რაც ჩვენს თავზე წისქვილის დოლაბივით დატრიალებულა. მაინც ღირსებითა და პატიოსნებით სავსე დააბიჯებს სათაყვანებელ მამულში...

მის შემხედვარეს სულ მეჩვენება, რომ მის არსებაში რამდენიმე ადამიანის სულია დავანებული. ჩააცვით წითელი პერანგი და მაშინვე დაინახავთ მდინარეში ასხმარტალებულ ნიკალას ლოქოს.

ჩააცვით გიჟის პერანგი და დაინახავთ, თუ რა წყნარია შემოდგომის საღამო, რა ლაღად და დაუნდობლად გადაფრინდება ერთი ხიდან მეორეზე ღაბუა ჩიტი.

დაადგით თავზე ეკლის გვირგვინი და მყისვე მის დაღლილ მხრებზე ქედნებს დაინახავთ, ტკბილად მოლულუნე ქედნებს.

თემურ ჩალაბაშვილი საქართველოს ჭირისუფალია. ასეთი კაცები ძალიან სჭირდება საქართველოს“...

გულშიჩამწვდომი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის **მაყვალა გონაშვილის**, კოლეგაზე, მწერალთა კავშირის თანათავჯდომარეზე საუბარი. მან ილია ჭავჭავაძის პრემია და ოქროს მედალი გადასცა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ პოეტს და ასპარეზი დაუთმო თემურ ჩალაბაშვილს თავისი უსაყვარლესი ლექსით „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!“ სამარისებურ სიჩუმეში ისმოდა პოეტის მიერ წაკითხული ლექსები: „სანთელი“, „როცა ქართველი“, სამასი წლის მეფე ერეკლე“, „წინანდალი“ და სხვა.

საღამოს ფონად გასდევდა თემურ ჩალაბაშვილის ახალგაზრდა მეგობრების მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები.

სიმღერებს სცვლიდა ლექსი „ექსპრომტად იაგო გოგრიჭიანს“

კაცი არ დარჩა კინაღამ,
პატივი ვის არ მიაგო,
მუდამ ღებიდან ღებშია
გოგრიჭიანი იაგო.
ნახავ და კიდევ ინატრებ,
იტყვი ყოველდღე მაჩვენა
მისი კაცური ღიმილი
და დაუღლელი მარჯვენა.
ძმობისთვის დაბადებული,
ალალი გულის მხარჯველი,
ჩვენი ძმა, ჩვენი იაგო,
დიდი „ქართველი, რაჭველი“!

კომენტარი ვთხოვე მის უახლოეს მეგობრებს:

ჯუბა ღეგელი - „პოეზია უპირველეს ყოვლისა. თემურ ჩალაბაშვილი საქართველოს ჭირისუფალია და მისი პოეზიაც ქვეყნის ბედზე ზრუნვითაა შთაგონებული“...

გელა ბექაური - „მე თემურ ჩალაბაშვილზე ასე ვიტყოდი - ის მუდამ ატარებს გულის სიღრმეში დაბინდულ კავკასიონის ხატებას, რომელმაც მშობლიურ ძველ ანაგაში, ბავშვობიდან მამის ბეჭებით გადაზომა:

თუშეთს მიდიან ბიჭები,
ო, რა კაცები, რაძმანი,
შამამხვდებიან იჭვებით
ზოგნ წოვან და ზოგნ ჩაღმანი.
სულ სხვანაირი მდელოა
ზეციდან გადმოსახადი.
იქ ძველი საქართველოა
და მშობლიური კახეთი!...



აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო გელა ბექაურს, რომელმაც რამდენიმე წიგნი იყიდა.

მარიკა პოპიაშვილი - თემურ ჩალაბაშვილი არა მარტო საუკეთესო ლირიკოსია, არამედ საუკეთესო თამადა, როდესაც ჩემი ნათლიის ნანა მერაბიშვილის და მამიდის სვეტლანა შალვაშვილის საღამო გაიმართა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში, იგი ამ საღამოზე ჩამობრძანდა ბ-ნ ზაალ ბოტკოველთან ერთად და გარდამავალ პერიოდში სკოლის საუკეთესო დირექტორები: ნანა მერაბიშვილი და სვეტლანა შალვაშვილი გოგებაშვილის პრემიით დააჯილდოვა, ეს დღე მე არასოდეს დამავიწყდება. სულ ახლახანს 70 წელი შეუსრულდა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ მგოსანს. დღეგრძელობას და მზეგრძელობას ვუსურვებ ბატონ თემურს!

ნანა ჭიჭინაძე

ფრენბურთის გუნდის წარმატება

დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდმა პირველი ლიგის პირველ ეტაპზე ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა. როგორც „შირაქს“ სპორტის ცენტრში განუცხადეს, ფრენბურთელებმა ძლიერი მოწინააღმდეგეები დაამრცხეს და საკმაოდ ეფექტურად იასპარეზეს. პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება მათ მას შემდეგ მოიპოვეს, რაც რამდენიმე კვირის წინ ლაგოდეხი დაამარცხეს.

შეჯიბრებების განრიგი: დედოფლისწყარო - ლაგოდეხი 3-1; დედოფლისწყარო - გარდაბანი 3-1; დედოფლისწყარო - ყვარელი 3-1; დედოფლისწყარო - თიანეთი 3-1; დედოფლისწყარო - თელავი 2-3; შემდეგი ეტაპი აპრილში გაიმართება ქ. თბილისში.

როგორც გუნდში „შირაქს“ ეუბნებიან, თელავთან წაგების მიუხედავად გუნდმა მაინც მაღალი ქულები მოაგროვა.

„ეს იყო ჯგუფური ეტაპი, ყველა ქალაქი ერთმანეთს ხვდებოდა. ყველაზე მაღალი ქულის მქონე ორი გუნდი შემდეგ ეტაპზე გადავიდა. ჯამური მიონაცემებით დედოფლისწყაროს 13 ქულა ჰქონდა, გარდაბანს 12, ამიტომაც ეს ორი გუნდი გადავედით. დაახლოებით ერთ თვეში ჩატარდება შემდეგი შეჯიბრი. სულ 8 გუნდი იქნება ფინალში და თუ წავაგეთ, გამოვეთიშებით. ვერ გეტყვით, რატომ გაგვიჭირდა თელავის დამარცხება. ძალიან კარგი თამაში იყო, მაგრამ თანაც მოთამაშემ ტრავმა მიიღო ბოლო ქულებზე და ყველაფერმა იმოქმედა. მოწინააღმდეგეც კარგად თამაშობდა,“ - აღნიშნავს ნიკოლოზ ჯინაშვილი.

გუნდის წევრებს და კაპიტანს გიორგი კოდიაშვილს კიდევ რამდენიმე კვირა აქვთ შემდეგი ეტაპისთვის მოემზადონ და კვლავაც გამარჯვება იზეიმონ.

ქიზიყელ გლეხკაცს უჭირს

ამას წინად გამოცხადებული გვქონდა, რომ ბაქოელ ქართველებისგან შირაქში ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოდ მივიღეთ ხუთი თუმანიო. ახლა კიდევ მოგვივიდა იმათგანვე რვა თუმანი. შესდგა 13 თუმანი.

წრევანდელი წელი არასასიამოვნო იყო ქიზიყისათვის. არა მგონია ეს წელიწადი ვინმემ მოიგონოს კიდევ, თუ მოიგონებს, ლანძღვა-გინებით. ჯერ კალიამ გაანადგურა ხალხი. როცა სხვა კუთხეში მინდვრად მუშაობდნენ, ჩვენ კალია გვქონდა თავში საცემად გამხდარი. 70-100 ვერსზედ სახლკარს მოშორებულნი ქიზიყელნი კრიჭაში ედგნენ ამ საზიზღარ მწერს და ჭირნახულის განადგურების ნებას არ აძლევდნენ. გაზაფხულის სიმინდისა და ფეტვის თესვა ვეღარ მოასწრეს. ვენახებიც შეუმუშავებელი დარჩათ. კალიას გადაარჩინეს თავიანთი ჭირნახული, მაგრამ ამისთანა გადარჩენა მაინც არ გადარჩენასთან იხსენიება. ახლა სხვა მტერი შემოსულიყო, ხვლიკი და თაგვი. ისე წაახდინეს მოსავალი, სადაც დღიურზე ოცი ათეული ძნა მოსავალი გამოდიოდა, ახლა 5-6 ათეული ძლივს გამოდის. ზოგი საერთოდ ვეღარას გამორჩა. ამასაც აღარ დასჯერდა და ყველა ეს უბედურება ცეცხლით დააგვირგვინა. 19 წარსულს ამ თვისას, გავარდა ხმა, შირაქი იწვისო. დაწიოკდა ქიზიყის ხალხი, დიდ-პატარა გაეშურა. მთელი შირაქის მინდვრები ცეცხლს მოეცვა. ცეცხლი მოჰკიდებოდა ათი ვერსის სიშორით იმ ადგილისა, სადაც ძმებ ოთარაშვილებს ნავთის ქარხნები აქვთ. აღმოსავლეთიდან გამოჰყოლოდა, რადგან ქარი უქროდა. ალმა ზემო მაჩხაანელთა კალოებამდის მოაღწია, სადაც 44 ამ სოფლელთა კალო გადასწვა, საბძლები, გასალეწი ძნა და გალეწილი ხვავები. დაიწვა მრავალი ქვეშსაგები და ტანისამოსი, ორმოებში ნაყარი პურიც, რადგან ძლიერი ცეცხლის დანახვაზე ზოგ პატრონს ორმოებში ჩაეყარა ტანისამოსი და მრავალი სხვა ავეჯეულობაც, იმ აზრით, ვითომც იქნება გადავარჩინოთო. დამფრთხალი ხალხი კალოებიდან იქვე ფეტვებს შეეფარა, რომელიც სინედლის გამო გადარჩა, მაგრამ 2-3 დესიატინა აქაც ინაცვალა. საქონელი, რომელმაც გამოსვლა მოასწრო გადარჩა, რომელმაც ვერა, ცეცხლმა შთანთქა. მაჩხაანელების კალოებიდან ცეცხლი ორად გამოჰყოლია და მოსულა ერთის მრით ენას მთამდის, მეორეს მხრით კასრის წყარომდის (საძოვრებია). დაიწვა ცხვრის ბინებიც, 15 თუშისა და 7 ზემო მაჩხაანელებისა. ცეცხლმა იმუშავა 22 ივლისამდე, ანუ სამი დღე. გარდა მაჩხაანელებისა, სხვა სოფლებისაც 80 ვერსამდე. ცეცხლი გააქრეს მუშებმა, რომლებიც გაყვანილ იქმნენ მთელი ქიზიყიდან ორი ათასამდე.

ამრიგად, ქიზიყს ბევრ რიგად მისცა ზარალი, საქონელს საძოვარი მოესპო, ზამთრისთვის თივა აღარ არის, საქონელი შიმშილით ამოწყდება. 44 კომლი ზემო მაჩხაანელებისა და დანარჩენი გლეხები, ხელმოკლეობისა გამო ისევ მინდვრებზედ ედგათ აუღებელი ძნა, პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩნენ. ამას დაუმატეთ ის კომლები, ვისაც საკუთარი კალო-საბძელი არ გააჩნდა და მაჩხაანელებთან იყვნენ შეკედლებულნი, იქ უპირებდნენ სარჩოს სხვის კალოზე გალეწვას. გულ-ხელ დაკრეფილი დაზარალებულნი დასტირიან დამწვარ ჭირნახულს. ზარალი აუარებელია, ზოგნი 40 000 მანეთამდე ამბობენ, ზოგნი მეტსაც.

კარგს იზამდა გულკეთილი ქართველობა, რომ დაზარალებულებს მცირე დახმარებას აღმოუჩენდეს და ზარალს შეუმსუბუქებდეს. უკეთუ ეს ვერ მოხერხდეს, უფასოდ მაინც დაეთმოთ ვისგანაც ჯერ არს სახელმწიფო ხე-ტყე, ცოტა მაინც შეუმსუბუქდეთ დამწვარ-დაბუგული კალო-საბძლებისა და ცხვრის ბინების ხელახლად აშენება. სხვის ხელ დაუხმარებლად დაზარალებულნი ათ წელშიაც ვეღარ გაიმაგრებენ წელს, რომ ძველ დონეზე დადგნენ.

1892 წელი,
29 აგვისტო

ილია ჩოხელი უკრაინაში მიმდინარე ომში დაეცა

უკრაინაში დაიღუპა 23 წლის ვანო (ილია) ჩოხელი, რომელიც ხარკოვიდანაა და 1 წელზე მეტია რუსეთ-უკრაინის ომში იბრძოდა. მას ბავშვობაში დედა გარდაეცვალა, რის გამოც ერთხანს მამასთან დედოფლისწყაროში იზრდებოდა და სოფელ ზემო ქედის სკოლაშიც სწავლობდა. შემდეგ კი ხარკოვში დაბრუნდა და სამხედრო განათლება მიიღო.

„ილია ჩემი შვილის ერთადერთი ვაჟი იყო. უმძიმესი ამბავია ჩვენთვის, მაგრამ სამშობლოსთვის ომია იქ და ასეც ხდება. რაც ომი დაიწყო, იბრძოდა. რამდენჯერმე ვთხოვეთ წამოსულიყო, მაგრამ უარს ამბობდა. ზოგჯერ ვერ ვუკავშირდებოდით და მის ამბავს, იქ მყოფი მისი ქართველი ნათლია გვატყობინებდა. გარდაცვალების ამბავიც მან გაგვაგებინა. ჩემი შვილი ჩავიდა და იქ დაკრძალეს. ომი რომ დამთავრდება, იქნებ გადმოვასვენოთ და საქართველოს მიწაზე დაიმარხოს“- ამბობს უშანგი ჩოხელი.

როგორც დაღუპული ბიჭის პაპა ჰყვება, ილია ჩოხელი ხარკოვში დაიბადა და საქართველოში 4 წლის ასაკში ჩამოიყვანეს. „ჩემი შვილი სწავლობდა ხარკოვში, იქ დაქორწინდა უკრაინელ ქალზე. ოთხი წლის იყო ილია აქ რომ ჩამოიყვანეს. 14 წლამდე ზემო ქედის სკოლაში სწავლობდა, მერე თბილისში გადავიდნენ. დედა რომ გარდაეცვალა, ხარკოვში წავიდა ბებია-პაპასთან და სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა. საოცარი მოძრავი და ცოცხალი ბიჭი იყო. ზუსტად რა ვითარებაში დაიღუპა, არ ვიცი. ეს ვიცი, რომ 200 კაცში სულ ორი გარდაიცვალა და ერთი ჩვენია”- ყვება უშანგი ჩოხელი.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს უშანგი და ზაზა ჩოხელებს და ქეთევან ქომისტელს.

ბებია ქეთევან ქიმოსტელი, პაპა – უშანგი ჩოხელი, მამა ზაზა ჩოხელი, ბიძა ზურაბ ჩოხელი, ბიცოლა - ნონა ბრაჭულიშვილი ოჯახებით იუწყებიან

ვანო (ილია) ჩოხელის

გარდაცვალებას

სოსო და ლია ხაჩიაშვილები, პაატა და ავთო პატაშურები, მაია და მანანა ჩოხელები, გოგი და თემურ ქიმოსტელები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

ვანო (ილია) ჩოხელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

ნიაზი ჯანაშვილი სამძიმარს უცხადებს ქეთინო, ნელი და თამაზი ნატროშვილების ოჯახებს მეუღლის, სიძის

გივი ალადაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქეთი ბენაშვილის გამოფენა – „მე განსვლა“

თბილისში „გალერეა 9“-ში დედოფლისწყაროელი მხატვრის, ქეთი ბენაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. „მე განსვლა“ ქეთი ბენაშვილის ავტობიოგრაფიული გამოფენაა, რომელიც ისეთ შრეებში გვამოგზაურებს, რომელსაც ზედაპირზე გარემო ფილტრავს, ფანტავს და არ აჩენს. სამი წლის განმავლობაში შექმნილი ორი სერია „შრეები“ და „მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“ მთლიანად ასახავს რადიკალურად განსხვავებულ ქეთი ბენაშვილის მიკროსამყაროს.

ქეთი ბენაშვილი სოფელ სამრეკლოდანაა, თავდაპირველად დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი 2017-19 წლებში მოსე თოიძის სახელმწიფო სამხატვრო ლიცეუმში გობელენის ფაკულტეტსა და სამხატვრო აკადემიის გრაფიკის მაგისტრატურაზე სწავლობდა. შემდეგ პანდემია და ჩაკეტილობა დაიწყო, რაც ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი შემოქმედებისთვის.



ქეთი ბენაშვილი: „არ მახსოვს, როგორ დავინტერესდი ხატვით და რამ მოახდინა ჩემზე გავლენა. ასე მე-5-მე-6 კლასში დედოფლისწყაროში დავიწყე ხატვის სკოლაში სიარული. ყველაზე მეტად ეს საქმე მაინტერესებდა... ყველაფერი, რაც ხელოვნებასთანაა კავშირში. ეს შენს შიგნით თუა, შემდეგ ყველაფერი ბუნებრივად ხდება. ეს სფერო ჩემთვის ერთგვარი თვითგამოხატვის საშუალებაა, როგორც აღვიქვამ გარესამყაროს, რასაც ვგრძნობ, რაზეც მაქვს რეფლექსი... ასე, უკეთ გამომდის... ჩემს სანათესაოში არავინ ხატავს, დედაჩემი - ნინო ბურდული ხელოვანია, კოლეჯ „აისში“ თექას ასწავლის, ის ბავშვობიდან ყველანაირად გვერდში მედგა. თექა მეც ვცადე, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი მასალა არ იყო და სხვა კუთხით წავედი. აღმოვაჩინე, რომ უფრო ზეთითა და ნახშირით მუშაობა მირჩევნია.



– როგორ გაჩნდა გამოფენის იდეა?

– ეს გალერეა შემოდგომაზე ვნახე, სივრცე ძალიან მომეწონა და გალერისტს ვთხოვე ჩემი პერსონალური გამოფენა დაგვეგეგმა. ოცამდე ნამუშევარი გამოიფინა, რომელიც ბოლო სამ წელშია შექმნილი და ორ თემად დავყავი. გამოფენა მხოლოდ ჩემს ემოციებს არ გამოხატავს, აქ მოსული დამთვალიერებელი შეძლებს საკუთარ შრეებში ჩავიდეს და უკეთესი მე მოძებნოს. ჩემი აზრით, ლაკონური სტილი მაქვს, მინიმალისტური, ფერებსაც შეზღუდულად ვიყენებ, ვიდრე ფერწერაშია მიღებული. გრაფიკოსი ვარ და ეს ყველაფერზე აისახება.

– ვისი წვლილია თქვენი შემოქმედების განვითარებაში?

– გამოვარჩევ დედოფლისწყაროს ხატვის სკოლის როლს ჩემს ცხოვრებაში, თავისი პედაგოგებით და დირექტორით, აკაკი მერაბიშვილით. ხვთისო ბიკაშვილი მასწავლიდა, ირინა იაკობიშვილი. ძალიან საინტერესო იყო ეგ წლები და ყოველთვის კარგად მახსენდება.

ჩემს ნახატებში წითელი, შავი, თეთრი უფრო ჭარბობს. როცა განწყობა მოდის, მხოლოდ მაშინ ვმუშაობ, რასაც აკეთებ გულწრფელი უნდა იყო, სხვა შემთხვევაში ეს ნამუშევარს აუცილებლად დაეტყობა. უბრალოდ მანამდე ინფორმაცია, ან განწყობა გროვდება, მერე ხდება ტილოზე გადმოტანა, ხან წინასწარ იცი რა გამოვა, ხანაც ფინალში საერთოდ სხვა შედეგი და შინაარსი გამოდის.

ეს ჩემთვის შემოქმედების წარდგენის პირველი შემთხვევა არ არის. პირველი გამოფენა 2018 წელს მქონდა „თიბისი ბანკის“ სათაო ოფისში. წინა წლებში რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა. მოყვარულის დონეზე ფოტოგრაფიაც მიტაცებს. მოგზაურობა მიყვარს და ამ დროს ვიღებ ფოტოებს. ბევრს ვმოგზაურობ, ვკითხულობ... სხვაგან ბოლო რამდენიმე წელი აღარ მიმუშავია და მთლიანად ხელოვნებას ეთმობა ჩემი დრო. ჩემი მშობლები ახლაც სოფელ სამრეკლოში ცხოვრობენ და საკმაოდ ხშირად ჩამოვდივარ. ხშირად სოფელში ყოფნის დროსაც ვხატავ, მაქვს ქიზიყში შექმნილი პეიზაჟებიც. დედოფლისწყაროში ფოტოებსაც ხშირად ვიღებ. სახელოსნო სახლში მაქვს... მასალას რაც შეეხება გააჩნია, რა თემატიკაა... ზოგი ტილოს და ზეთს ითხოვს, ზოგი ნახშირს, ზოგი მუყაოს და აკრილს, ან შერეულ ტექნიკას.

– როგორ ფიქრობთ, მხატვარს რამდენად შეუძლია საკუთარი პროფესიით იცხოვროს და შემოსავლისთვის სხვა საქმე არ ეძებოს?

– გააჩნია, საქართველოში ადვილი არაა, თუმცა არც შეუძლებელი. გალერეა აპოლოში 2015 წლიდან ინტენსიურად იყიდება ჩემი ნამუშევრები, აქტიურად ვთანამშრომლობ მათთან. უამრავი ნამუშევარია კერძო კოლექციებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ილია მარტყოფლიშვილი

მადლიერება

14 მარტს ჩემს დას, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები, უკვე წლებია აქვს, მდგომარეობა გაუუარესდა. სასწრაფო დახმარებას რომ მივმართე, ოპერატიულად მოვიდნენ. ადგილზე ექიმმა მაია ბეგიაშვილმა გასინჯა. პაციენტი კრიზისულ სიტუაციაში იყო, ამიტომ აუცილებელი გახდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა. ერთი კვირის განმავლობაში ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდნენ ჩემს დას, უმკურნალეს და სახლში გამოწერეს. გვინდა მადლობა ვუთხრათ სასწრაფოს ეკიპაჟს: ექიმს მაია ბეგიაშვილს, ექთანს ხატია ჯინაშვილს, მძღოლს ვაჟა ხარაშვილს. საავადმყოფოს დირექტორს, ხათუნა აგლაძეს და მთავარ ექიმს, ვანო ნატროშვილს. მიმღების ექიმებს: ეკა მანაგაძეს, იამზე ბაღაშვილს, ექთან ესმა დათუკიშვილს. რეანიმაციული განყოფილების ექიმებს ვასილ გონაშვილსა და მერაბ კუტიბაშვილს, ექთნებს: აქსანა კრავჩენკოს, თამარ ჯამასპიშვილს, ეკა გოგილაშვილს, ლალი ფიროსმანაშვილს. სანიტრებს: ნონა ბიღიაშვილს, მაია ნატროშვილს, ირინა ზოროღლიანს, დალი მირუაშვილს, ლეილა ჩალაბაშვილს, მარინა ბოსტოღლანაშვილს, თინა შოშიაშვილს და ალისა ჩერნოვას. დიდხანს ყოფილიყვნენ ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

პატივისცემით,
და ლუიზა ზურაშვილი, დისშვილები ქენქაძეები ოჯახებით, დისშვილიშვილი ვასიკო ჯაგოდნიშვილი ოჯახით, ნია ხუჭუა ოჯახით, მარი მარტყოფლიშვილი ოჯახით.

ულოცავენ!

ნინო ანანიაშვილს!

უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით ვულოცავთ მსოფლიო პრიმა ბალერინას, ქალბატონ ნინოს დაბადების დღეს, 19 მარტს.

საუკეთესო სურვილებით, საზღვრისპირა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციისა და 85 წლის გაზეთი „შირაქი“

იყიდება

გერმანული, ყავისფერი პიანინო „როინიში“ ქ. დედოფლისწყაროში. ფასი 1500 ლარი მსურველებმა დარეკეთ:599 35 76 97

გუნდური თასი საქართველოს ჩემპიონატზე

დედოფლისწყაროს უშუს გუნდი ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო შედეგებს ხშირად დებს და წარმატებებითაც გვანებივრებს, თუმცა ამჯერად შეძლეს საქართველოს გუნდური თასი კიდევ ერთხელ მოეგოთ. საქართველოს თასზე დედოფლისწყაროს უშუს გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა, 10 თასი და ოქროს მედალი ჩამოიტანეს, რის გამოც ჩემპიონები გახდნენ: **ლუკა ლიქოკელი, ირაკლი ყოჩიაშვილი, ომარ ჩაღოშვილი, ნიკა წიკლაური, საბა ბუთხუზი, გივი გოჩიტაშვილი, ნიკოლოზ ხარაზიშვილი, დავით ბუაძე, ვალერი ყოჩიაშვილი, იოსებ ყაბანაშვილი.** მეორე ადგილი: **ნიკოლოზ არაბული, გიგა პოპიაშვილი, გიორგი ყოჩიაშვილი, გურამ გოგაშვილი, გიორგი თარაშვილი, თაზო ღვინიაშვილი, გიორგი წიკლაური, ვაკო ბექაური** მესამე ადგილი: **ლუკა ლეკაშვილი, ლუკა ყოჩიაშვილი, ნუგზარ ჭრელაშვილი, გიორგი დინგაშვილი, რობერტი ისაევი, ნიკა ჯალიაშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ოვანეს ოგანესიანი, საბა ბოჭორიშვილი, დავით ქადაგიძე.**

„საქართველოს გუნდური თასი 2016 წლის შემდეგ კვლავ მოვიგეთ და დედოფლისწყაროში დავაბრუნეთ! ეს ნიშნავს, რომ ყველა სხვა ქალაქზე მეტი ჩემპიონი გვყავს. თასი მეორედ მოვიგეთ მაგრამ, ამდენი ჩემპიონი და პრიზიორი არასდროს გვყოლია. ჩემპიონატის ბოლოს ყველა ქალაქის შედეგების მიხედვით, რომელ ქალაქსაც მეტი გამარჯვებული ჰყავს, გუნდური თასი სწორედ მათ გადაეცემათ. არადა, მოგეხსენებათ, ზოგიერთ ქალაქში ორი სამი გუნდი მოქმედებს და მოსახლეობითაც დიდი ქალაქებია, ამ ფონზე, პატარა დედოფლისწყარომ დადო ეს შედეგი და მოახერხა, ყველაზე ნაყოფიერი ბრძოლები ეჩვენებინა. ეს შედეგი ჩვენთვის სხვა მხრივაც რეკორდულია, 12 წლის განმავლობაში ამდენი მედალი ერთ შეჯიბრზე არასდროს აგვიღია. კარგად იასპარეზა ნიკოლოზ ხარაზიშვილმა, მთლიანად დაძაბული ფინალური ბრძოლა ჰქონდა, საკმაოდ ძლიერ მეტოქეს შეხვდა. ასევე ლუკა ლიქოკელს და დავით ბუაძეს გამოვარჩევ. ახალბედა სპორტსმენებიც ძალიან გვეიმედებიან და საკმაო მონდომებით ვარჯიშობენ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას გვერდში დგომისთვის და ამ შედეგების დადებაში დახმარებისთვის!” – აღნიშნავს მწვრთნელი, **გიორგი ცისკარაული.**

ჩემპიონატის შემდეგ უშუს ფედერაციამ დედოფლისწყაროს გუნდს საჩუქრად 3000 ლარის სპორტული ინვენტარი გადასცა.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.03	სამშაბათი 28.03	ოთხშაბათი 29.03	ხუთშაბათი 30.03	პარასკევი 31.03	შაბათი 01.04	კვირა 02.04
დღე	18°	18°	19°	9°	10°	14°	16°
ღამე	8°	7°	3°	–3°	0°	2°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი